ეროვნული ბიბლიოთეკა

# 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კომუნისტი**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 57 (11668)
სამშაბათი
8
მარტი,
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ჩვენო სახელოვანო ქალებო, ჩვენო დედებო, დებო და ამხანაგებო, მოგილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

# საბჭოთა ქალებს

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

## ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50-ე წლისთავის გამო

ძვირფასო ამხანაგო ქალებო, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებო!

სახელოვანო მშრომელო ქალებო — მუშებო და კოლმეურნეებო, მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! ჩვენო დედებო, ამხანაგებო და დებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ და მოგილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50-ე წლისთავს — დიდმნიშვნელოვან ისტორიულ თარიღს კაცობრიობის ცხოვრებაში.

ნახევარი საუკუნის წინათ კოპენჰაგენში, სოციალისტ ქალთა მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე, კლარა ცეტკინის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალთა საერთაშორისო დღის შემოღების შესახებ. მას შემდეგ 8 მარტის დღე მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა სოლიდარობის დღე, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაში მათი ერთიანობის დღე გახდა.

ჩვენი ქვეყნის ქალები მთელი წარსული წლების მანძილზე ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. კომუნისტური პარტიისა და დიდი ლენინის ხელმძღვანელობით ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, გმირულად იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მამაცურად იცავდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის მრისხანე წლებში. თავიანთ მამებთან, ქმრებთან და ძმებთან ერთად საბჭოთა ქალები აღადგენდნენ სახალხო მეურნეობას, ახორციელებდნენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. დიდი სამამულო ომის უმძიმესი განსაცდელის დღეებში, მთელ ხალხთან ერთად, ფრონტებზე და ზურგში ისინი მედგრად და თავდადებით სჭედდნენ ფაშიზმზე გამარჯვებას, იცავდნენ ხალხთა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ბევრი შრომა და ენერგია მოახმარეს ჩვენმა ქალებმა ომის შედეგების ლიკვიდაციის საქმესა და ომისშემდგომი ხუთწლედების განხორციელებას. ამჟამად საბჭოთა ქალები უდიდესი ენთუზიაზმით ახმარენ თავიანთ ძალღონეს სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, შვიდწლიანი გეგმის, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებენ საბჭოთა ქალების ამ დიდ დამსახურებას და სულით და გულით მადლობას უძღვნიან მათ მამაცური შრომისა და დედა-სამშობლოსადმი ურყევი ერთგულებისათვის, იმისათვის, რომ ისინი უანგაროდ და მგზნებარედ ემსახურებიან ლენინურ საქმეს — კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50-ე წლისთავს ჩვენი ქვეყანა ეგებება ახალი შესანიშნავი გამარჯვებებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების მიღწევები, რომლებმაც მსოფლიოში პირველად განახორციელეს დედამიწისა და მთვარის ხელოვნური თანამგზავრების, კოსმოსური რაკეტებისა და საპლანეტათშორისო სადგურების გაშვება, მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათის გადაღება, მთელი კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. ყველა ამ წარმატების მოპოვებაში საბჭოთა ქალებმაც შეიტანეს ღირსეული წვლილი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, ისტორიაში პირველად უზრუნველყო არა სიტყვით, არამედ საქმით ქალთა თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა, ძირეულად შეცვალა მათი მდგომარეობა საზოგადოებაში. საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად მოსპო მეფის ძველი და ბურჟუაზიულ-მემამულური კანონები, რომლებიც ქალების ღირსებას ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ. მან არა მარტო შექმნა და დაამკვიდრა ახალი კანონები, რომლებიც აცხადებენ ქალისა და მამაკაცის ნამდვილ თავისუფლებასა და თანასწორ უფლებებს, არამედ ამასთანავე აკეთებს ყოველივე იმას, რაც საჭიროა ამ კანონების განხორციელებისათვის, ქალის — დედის შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა ქალების კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლებისათვის, მათი ნიჭის გაფურჩქვნისათვის.

კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ქალების უდიდესი როლის აღიარებისა და მათი პოლიტიკური უფლებებისადმი დიდი პატივისცემის შესანიშნავი დადასტურებაა ქალთა აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში 366 ქალია, ანუ ყველა დეპუტატის 27 პროცენტი. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში 1959 წელს არჩეულია 693 ათასზე მეტი ქალი, რაც დეპუტატთა საერთო რიცხვის 38 პროცენტს შეადგენს. მილიონობით ქალი აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა კომისიებში, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

წლითიწლობით იზრდება საბჭოთა ქალების როლი სახალხო მეურნეობაში. მუშა-მოსამსახურეთა შორის ქალები ჩვენში 47 პროცენტს შეადგენენ. განსაკუთრებით ბევრი ქალი მუშაობს კულტურისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. სახალხო განათლებაში ქალები შეადგენენ ყველა მომუშავის 69 პროცენტს, ხოლო ხალხის ჯანმრთელობის დაცვაში — 85 პროცენტს.

რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის ქალთა 86,3 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მათი ხვედრი იყო ყველაზე შავი და მცირეხელფასიანი შრომა. მსოფლიოში პირველად ჩვენმა ქალებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეუზღუდავი შესაძლებლობანი, რომ მიიღონ განათლება, დაეუფლონ მეცნიერებასა და კულტურას, შეიძინონ ყოველი პროფესია, მიიღონ გარანტირებული სამუშაო და თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურება.

უკანასკნელ ოც წელიწადში იმ ქალთა რიცხვი, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ, გადიდდა თითქმის ხუთჯერ, ხოლო საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ქალთა რიცხვი — 4,4-ჯერ. ამჟამად სსრ კავშირშია 233 ათასი ქალი ინჟინერი, 1 მილიონ 280 ათასზე მეტი მასწავლებელი, დაახლოებით 300 ათასი ექიმი, 110 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი. ბევრმა ქალმა დიდი ნიჭი გამოიჩინა ლიტერატურისა და ხელოვნების ასპარეზზე.

ქალთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდას თან ახლავს მათგან ყველაზე მომზადებულთა ფართოდ დაწინაურება ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურულ სამუშაოზე. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, მხარეებსა და ოლქებში ბევრია ქალი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ პარტიული კომიტეტების მდივნებად, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, მინისტრებად, საწარმოთა დირექტორებად, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებად, საავადმყოფოთა მთავარ ექიმებად, სკოლების დირექტორებად, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამგეებად. საჭიროა კვლავაც გაბედულად დავაწინაუროთ ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე, ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება გავუწიოთ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

შთაგონებულმა შრომამ დამსახურებული სახელი და პატივი მოუხვეჭა საბჭოთა ქალებს. საყოველთაო-სახალხო აღიარება მოიპოვეს წარმოების მოწინავე მუშა ქალებმა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს სამშობლოს შესანიშნავი შრომითი მიღწევებით, ცხადყვეს კომუნიზმის იდეების უსაზღვრო ერთგულება — ვიშნი ვოლოჩეკის ფაბრიკის მრთველმა ვალენტინა გაგანოვამ, ტამბოვის ოლქის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ევგენია ანდრეევამ, უზბეკმა კოლმეურნე-მექანიზატორმა თურსუნა ახუნოვამ, სტალინგრადელმა მწველავმა ვერა რიბაჩეკმა, ომსკელმა მეღორემ ტატიანა პერეშივკომ, ხარკოველმა მეფრინველემ ვერა სიდორამ. საყოველთაო-სახალხო სახელი მოიხვეჭეს რიაზანელმა კოლმეურნე ქალებმა და ჩვენი ქვეყნის ბევრმა სხვა შესანიშნავმა მშრომელმა ქალმა.

სამშობლოს და ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის მარტო 1955-1959 წლებში 69.959 ქალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ამავე ხანში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო 314 ქალმა. ომისშემდგომ პერიოდში 24 ქალი დაჯილდოებულია „ნამგლისა და უროს“ მეორე ოქროს მედლით.

უმაგალითო სიმაღლეზეა აყვანილი ჩვენს ქვეყანაში ქალი-დედა. მისი ყოველდღიური, თავმდაბალი და დაუღალავი შრომა მოზარდი თაობის აღზრდისათვის განდიდებულია და ედრება გმირობისა და მამაცობის უმაღლეს გამოვლინებას. 62 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოებულია „გმირი დედის“ წოდებით, 6,5 მილიონამდე დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“.

პარტია და მთავრობა მუდმივ ზრუნვას იჩენენ დედისა და ბავშვისათვის, ისწრაფვიან ყოველი ღონისძიებით შეუმსუბუქონ ქალს შრომა, ყველა ოჯახისათვის შექმნან საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობები. წარმატებით წყდება ამოცანა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს: ლიკვიდირებულ იქნას ბინების ნაკლებობა და ამით გადაწყდეს საბინაო პრობლემა. მარტო გასულ წელს მუშებმა და მოსამსახურეებმა მიიღეს 2 მილიონ 200 ათასზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა. დაახლოებით 850 ათასი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა სოფლად. ბინების მშენებლობა კვლავაც გაძლიერებული ტემპით იწარმოებს.

განუწყვეტლივ იზრდება სსრ კავშირში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის — განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, დაზღვევისათვის და დახმარების მისაცემად მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის. წლითიწლობით ფართოვდება სკოლების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, პიონერთა ბანაკების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, საბავშვო მოედნების ქსელი. მარტო სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა შესანახავად მიმდინარე შვიდწლედში გამოყოფილია 103 მილიარდ მანეთზე მეტი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ ხანებში მიიღეს ახალი გადაწყვეტილებანი საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის, მშრომელთა საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას კიდევ უფრო უზრუნველყოფილს, კულტურულსა და სასიხარულოს გახდის.

ჩვენმა საბჭოთა ხალხმა კარგად დაიწყო შვიდწლედი. გადაჭარბებით შესრულებულია 1959 წლის — შვიდწლედის პირველი წლის დავალებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დარგში. წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია თითქმის 50 მილიარდი მანეთის საწარმოო საშუალებანი და მოხმარების საგნები. მარტო ეს ზეგეგმითი მატება სჭარბობს რევოლუციამდელი რუსეთის მრეწველობის მთელ პროდუქციას.

1960 წელს — შვიდწლედის მეორე წელს — ჩვენი ქვეყანა უფრო სწრაფად განვითარდება. მარტო ამ წელს მწყობრში უნდა ჩადგეს ასობით ახალი ქარხანა, ფაბრიკა, ელექტროსადგური, შახტი და მაღარო. მოხდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ახალი მნიშვნელოვანი მატება. სამუშაო დღე ყველგან შემცირდება 7 და 6 საათამდე. მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების თაოსნობით ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების დაფარული რეზერვების ყოველი ღონისძიებით გამოყენებისათვის.

საბჭოთა ქალების ღირსების საქმეა იყვნენ შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების პირველ რიგებში, გვიჩვენონ შრომისა და ბავშვთა აღზრდისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაღალი ნიმუშები. საბჭოთა ქალებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ბეჯითად და დაუცხრომლად უნდა ისწავლონ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება.

იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელოს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც დასახა სკკპ XXI ყრილობამ, ჩვენს ხალხს მტკიცე მშვიდობა ესაჭიროება. მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებულია აგრეთვე ყველა სხვა სოციალისტური ქვეყანა, მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანი, მთელი კაცობრიობა. ომი მხოლოდ მათ ესაჭიროებათ, ვისაც გამორჩენას აძლევს გამალებული შეიარაღება, ვინც თავისი მოგების გასამრავლებლად მზად არის საშინელი კატასტროფა დაატეხოს თავს მთელ მსოფლიოს.

მშვიდობისათვის ბრძოლა ჩვენი თაობისა და მომავალ თაობათა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაა. ჩვენს დროში, როცა სოციალიზმი მსოფლიო სისტემა გახდა, როცა ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა, არის რეალური შესაძლებლობა, რომ სამუდამოდ ამოიშალოს ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობს რა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებით, შეუპოვრად და თანმიმდევრულად იბრძვის მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისათვის, სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ნაცვლად გამალებული შეიარაღებისა იგი მოითხოვს განიარაღებას, მშვიდობიან ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას მხარს უჭერს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საკუთარი სიცოცხლე და საყვარელ და მახლობელ ადამიანთა სიცოცხლე, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის გენიით შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობანი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1959 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა მთავრობის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის მიერ შეტანილმა წინადადებებმა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას. განუხრელად განაგრძობს რა საერთაშორისო ვითარების შემდგომი შენელების კურსს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ამა წლის იანვარში მიიღო კანონი ჩვენი შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ ცალმხრივი წესით. ეს კანონი ერთსულოვნად მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა და დიდად დააფასეს ყველა ქვეყნის ხალხებმა, როგორც უდიდესი ჰუმანიზმისა და მშვიდობისმოყვარეობის აქტი.

საბჭოთა ადამიანებს იმედი აქვთ, რომ ეს გაბედული და კეთილშობილური გადაწყვეტილება წამახალისებელი მაგალითი იქნება ყველა სახელმწიფოსათვის და პირველ რიგში დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისათვის. ახლა მათი ჯერია.

აზიის ქვეყნებში ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ კიდევ და კიდევ ცხადყო, თუ რა დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ხალხი.

დიდი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების მომავალი შეხვედრისაგან ყველა ხალხი მოელის დადებითს შედეგებს, რომლებიც ჩვენი პლანეტის ადამიანებს ჩაუნერგავენ მტკიცე მშვიდობის რწმენას, რათა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ადამიანებს შეეძლოთ თქვან: „ომს ბოლო მოეღო სამარადისოდ!“.

მხურვალედ უჭერენ რა მხარს თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა ქალებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, მათ შორის ნდობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის დამყარების საქმეში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ქალები იჩენენ ნამდვილი ძმური სოლიდარობის ღრმა გრძნობებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ხალხისადმი, ყველა მშრომელისადმი, რომელნიც იბრძვიან კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, თავიანთი საარსებო ინტერესების დასაცავად, კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ყველა ქალისადმი, რომელნიც მოითხოვენ თანასწორ მდგომარეობას საზოგადოებაში. საბჭოთა ქალებს ახარებთ ყოველი ახალი წარმატება, რომელსაც მსოფლიოს ხალხები აღწევენ ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და კოლონიური მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წლითიწლობით ფართოვდება საბჭოთა ქალების მეგობრული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნების ქალებთან. საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ ეს ურთიერთობა, განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა და ძმობა, ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას, მარადიული მშვიდობის დამკვიდრებას დედამიწაზე.

ძვირფასო ამხანაგო ქალებო, დედებო და დებო! მუდამ ერთგული იყავით კომუნიზმის ნათელი იდეალებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის იდეალებისა, განამტკიცეთ ურღვევი სოლიდარობა ყველა ქვეყნის ქალებთან.

დაე დედობრივი სიყვარულის საღვთო ცეცხლი აღდგეს მთელ მსოფლიოში ომების წინააღმდეგ, აღაფრთოვანოს ყველა ადამიანის გული მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ჩვენი ბავშვების ნათელი მომავლისა და ბედნიერებისათვის, გონებისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის საბრძოლველად!

სახელი და დიდება საბჭოთა ქალებს — დაუცხრომელ მშრომელებს, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლებს!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**



# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა:

1. ბარდაველიძეს ვერა ვარდენის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს
2. ბახტაძეს ქსენია ერმილეს ასულს — ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების გამგეს
3. ბერეჟიანს დარია ივანეს ასულს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
4. ბუაჩიძეს სოფიო მოსეს ასულს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს
5. ერისთავს ეკატერინე მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
6. თათრიშვილს ნინო თომას ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს
7. ყვანიას თამარ ონისიმეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
8. სკმენსკაიას ელენე მეჩისლავის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
9. სიხარულიძეს ქსენია ალექსის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს
10. ჩხეიძეს ანა ილიას ასულს — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს
11. წერეთელს თინათინ ვასილის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
12. წვერავას ელენე ნიკოლოზის ასულს — თბილისის მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
13. ხარაძეს რუსუდან ლუკიანეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს

### საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. ალექსიძეს ირინე ალექსანდრეს ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
2. დავითაშვილს მერი პეტრეს ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
3. ვირსალაძეს ანასტასია დავითის ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს
4. ჩახავას მედეა ვასილის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
5. ჯაფარიძეს მედეა ვალერიანის ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს

### საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

1. ახვლედიანს ელენე დიმიტრის ასულს — მხატვარს

### საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. ბაღდავაძე-არსენიშვილს ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — მხატვარს
2. ბებუთოვა-გაბუნიას ბარბარე დავითის ასულს — მხატვარს
3. ბერძენიშვილს მარიამ ყარამანის ასულს — მხატვარს
4. ბრაილაშვილს ნინო პეტრეს ასულს — მხატვარს
5. ბუზოღლის ნადეჟდა ივანეს ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს
6. დავითაშვილს მერი შალვას ასულს — კომპოზიტორს
7. დონცოვას ევგენია პავლეს ასულს — მხატვარს
8. იოსელიანს ელენე კონსტანტინეს ასულს — გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს
9. კამოევას მარიამ კონსტანტინეს ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს
10. კობიაშვილს თამარ ნიკოლოზის ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს
11. მაჩაბელს ელენე ზაქარიას ასულს — მოქანდაკეს
12. მრევლიშვილს მალიკო ნიკოლოზის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კათედრის გამგეს
13. ოლშანიცკაიას მერი გრიგოლის ასულს — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორს
14. შიუკაშვილს ვანდა ნიკოლოზის ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს
15. ჩარექიშვილს თამარ იოსების ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგეს
16. ჩხარტიშვილს თამარ ესტატეს ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს
17. ჩხეიძეს თინათინ დავითის ასულს — კომპოზიტორს
18. ციციშვილს ელენე ალექსანდრეს ასულს — არქიტექტორ-დეკორატორს
19. წერეთელს ალექსანდრა იოსების ასულს — საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიის უფროს მასწავლებელს

### საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. აფხაზავას ლილი მიხეილის ასულს — ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
2. აგაბეკოვას ევგენია სამსონის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმეისტერს
3. აფაქიძეს ნათელა იასონის ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
4. ალადაროვა-მღებრიშვილს ეკატერინე ახმედის ასულს — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს
5. ბარამიძეს შარლოტა ვარლამის ასულს — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლის მსახიობს
6. ბურბუთაშვილს თინათინ ვასილის ასულს — თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
7. გაბუნიას მედეა ილიას ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობ-სოლისტს
8. გელაშვილს მარიამ ვლადიმერის ასულს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
9. გოლუბევას ნინო ვასილის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
10. გოძიაშვილს მარეხ ილიას ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
11. დბარს ვერა კამშიშის ასულს — სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
12. დონელს ელენე სიმონის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ყოფილ მსახიობს
13. ელიავას ლია შალვას ასულს — კინოსტუდია „ქართული-ფილმის" მსახიობს
14. ვარდიაშვილს ანა დიმიტრის ასულს — ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელს
15. ვრუიროს წაღიკ არამის ასულს — თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამის თეატრის მსახიობს
16. ზალდასტანიშვილს ნინო ვასილის ასულს — გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
17. ზედგინიძეს ნინო ვიაჩესლავის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
18. ზვერევას ლიდა ნიკოლოზის ასულს — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
19. თაქთაქიშვილს თამარ შალვას ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
20. თურმანიძეს ლამარა ჩიტოს ასულს — მახარაძის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
21. კევლიშვილს ქეთევან ესტატეს ასულს — თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
22. კირკიტაძეს ალექსანდრა ივლიანეს ასულს — საქართველოს თოჯინების თეატრის მსახიობს
23. კოზმინსკაიას ნინო თევდორეს ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს, კონცერტმეისტერს
24. კობახიძეს ქეთევან ვასილის ასულს — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობს
25. ლოლუას ეკატერინე სპირიდონის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ყოფილ მსახიობს რეჟისორ-ასისტენტს
26. მახვილაძეს მზია მიხეილის ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
27. მგალობლიშვილს ნელი ალექსანდრეს ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
28. მიქაბერიძეს ანგელინა არსენის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
29. მდივანს ირინე ნიკოლოზის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს
30. ნიკოლოზიშვილს გულნარა გიორგის ასულს — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობს
31. პაპიტაშვილს თამარ დავითის ასულს — თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული სახელმწიფო თეატრის მსახიობს
32. სიხარულიძეს ალექსანდრა ილარიონის ასულს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
33. სოკოლოვსკაია-იაკიმოვიჩს ოლღა სტეფანეს ასულს — თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული სახელმწიფო თეატრის მსახიობს
34. ტატიშვილს ნინო ლეონიდეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
35. ქავთარაძე-ნადირაძეს გულნარა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
36. ყიფიანს ნორა ვარლამის ასულს — სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
37. შეკოიანს სერიკ იაკობის ასულს — თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
38. ცქიტიშვილს ეთერ დანიელის ასულს — საქართველოს თოჯინების თეატრის მსახიობს
39. წინამძღვარს ნინო ილიას ასულს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ყოფილ მსახიობს
40. ჭაბუკიანს ეთერ ბესარიონის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს
41. ჭიჭინაძეს დოდო (თამარ) ვასილის ასულს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს

### საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომისა:

1. ანდრეევას ნინო ავქსენტის ასულს — დუშეთის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის უფროს ლაბორანტს
2. ბარიშვილს მარიამ კონსტანტინეს ასულს — პროგნოზისა და სიგნალიზაციის გორის სათვალთვალო პუნქტის აგრონომს
3. ბერაიას ელეონორა გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს მთავარ აგრონომს
4. ბერეჟიანს სოფიო გიორგის ასულს — აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაის დარგის აგრონომ-ინსპექტორს
5. ბულეიშვილს თამარ თევდორეს ასულს — ლაგოდეხის ჯიშთა გამოცდის უბნის გამგეს
6. ბურჯანაძეს გალინა ათანასეს ასულს — ვანის რაიაბრეშუმის უბნის აგრონომს
7. ბურდიაშვილს ნატალია ივანეს ასულს — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
8. გაიმარჯვაშვილს ნინო დავითის ასულს — პროგნოზისა და სიგნალიზაციის გურჯაანის სათვალთვალო პუნქტის აგრონომს
9. გობოზაშვილს მარიამ ილიას ასულს — ლაგოდეხის რაიონის ს. ერეთისკარის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
10. გოგოლაშვილს ქეთევან პორფირეს ასულს — ზესტაფონის საგრენაჟო ქარხნის დირექტორს
11. დევდარიანს ქსენია სოლომონის ასულს — ორჯონიკიძის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
12. დოდაშვილს ნინო ივანეს ასულს — ქ. თბილისის სამგორის რაიონის თელეთის სარემონტო-ტექნიკური სადგურის აგრონომ-ენტომოლოგს
13. დოლიძეს მაშო გრიგოლის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის აგრონომს
14. ვაშაძეს ვალენტინა ნიკოლოზის ასულს — სოხუმის ბოტანიკური ბაღის სწავლულ მდივანს
15. ვისოცკაიას ტატიანა ალექსანდრეს ასულს — მარნეულის რაიონის ღ. მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
16. ზვონოვაიას მარიამ თევდორეს ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამმართველოს უფროს აგრონომს
17. თაგვიაშვილს სარა ნიკოლოზის ასულს — ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეთესლე-აგრონომს
18. კაჩიბაიას ქსენია არტემის ასულს — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თესლის კონტროლის რესპუბლიკური ლაბორატორიის დირექტორს
19. კვერნაძეს ქეთევან გიორგის ასულს — წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
20. კოპალიანს გოგუცა გიორგის ასულს — წულუკიძის რაიაბრეშუმის უბნის აგრონომს
21. კუსუტარიას მარიამ ნიკოლოზის ასულს — თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის აგრონომ-ბრიგადირს
22. კურცხალიას ქეთევან ალექსანდრეს ასულს — საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
23. ლაშქარაშვილს ქეთევან ვასილის ასულს — სიღნაღის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
24. ლეკვეიშვილს მარგალიტა კონსტანტინეს ასულს — სამტრედიის რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთესლე-აგრონომს
25. მალნარაძეს მაღლენა სილიბისტროს ასულს — აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს
26. მელკუევას ელენე ივანეს ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს
27. მესხს ფენია ნიკოლოზის ასულს — ზუგდიდის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
28. მურვანიძეს ელენე სამსონის ასულს — ტრესტ „საქართველოს ჩაის" აგრონომ-დისპეტჩერს
29. ნადირაძეს იულია ბესარიონის ასულს — კასპის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეთესლე-აგრონომს
30. ნაჭყებიას მარიამ ჯადულის ასულს — ზუგდიდის რაიაბრეშუმის უბნის აგრონომს
31. საკოვას მარიამ გიორგის ასულს — საგარეჯოს სარემონტო-ტექნიკური სადგურის აგრონომ-ენტომოლოგს
32. სიფროშვილს ნინო ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს
33. ფირცხალავას ქსენია ერასტის ასულს — გეგეჭკორის რაიონის სოფელ თამაკონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
34. ფიფიას ოლღა ვლადიმერის ასულს — წალენჯიხის № 1 ჩაის ფაბრიკის უფროს აგრონომს
35. ჟუჟუნაძეს ლია მიხეილის ასულს — ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს
36. შავკაციშვილს მარიამ დავითის ასულს — თელავის სარემონტო-ტექნიკური სადგურის აგრონომ-ენტომოლოგს
37. შარაშიძეს მარგარიტა გიორგის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობისა და მევენახეობის სამმართველოს აგრონომს
38. შენგელიას რაისა თედოს ასულს — ჩხოროწყუს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის ჩაის დარგის აგრონომს
39. ცერცვაძეს ზინაიდა აფრასიონის ასულს — ხაშურის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
40. ცომაიას ნადეჟდა პლატონის ასულს — ტრესტ „საქართველოს ჩაის" აგრონომ-დისპეტჩერს
41. წერეთელს გაიანე მელიტონის ასულს — ჭიათურის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
42. წულუკიძეს ქეთევან ვარლამის ასულს — ბოლნისის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
43. ჭაბუკიანს თალიკო მათეს ასულს — ქარელის რაიონის სოფელ არადეთის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს
44. ხარშილაძეს ქეთევან ილარიონის ასულს — საჩხერის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს
45. ჯიაძეს ალექსანდრა პეტრეს ასულს — თიანეთის ჯიშთა გამოცდის უბნის გამგეს
46. ჯიოევას ფეოდოსია პეტრეს ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს

### საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსისა:

1. აბრამიშვილს სონია არსენის ასულს — ქობულეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს
2. ალიმოვას ლიდა სტეფანეს ასულს — გუდაუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს
3. გოგიტიძეს თამარ დიმიტრის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების მომზადებისა და ხელმძღვანელი კადრების შერჩევის სამმართველოს მთავარ ზოოტექნიკოს-ინსპექტორს
4. დარჩიაშვილს ელენე სიმონის ასულს — სიღნაღის რაიონის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის უფროს ზოოტექნიკოსს
5. დათუნაშვილს ელენე იაკობის ასულს — თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის ზოოტექნიკოსს ჯიშის დარგში
6. დედიკს ვერა ფილიპეს ასულს — მარნეულის რაიონის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის გამგეს
7. იმნაძეს ანასტასია ისაკის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესაქონლეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსს
8. კირთაძეს თინათინ რომანოზის ასულს — ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს ზოოტექნიკოსს
9. ლაგვილავას ეკატერინე კონსტანტინეს ასულს — წალენჯიხის რაიონის დაბა წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს
10. მებუკეს ელენე მიხეილის ასულს — საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მეფრინველეობის განყოფილების გამგეს
11. მიქელოვას თამარ ივანეს ასულს — მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს
12. ნაკანის ოლღა ტარასის ასულს — მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს
13. როინაშვილს ნინო დავითის ასულს — ახალქალაქის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის მთავარ ზოოტექნიკოსს
14. ულარჯიშვილს ნინო ილარიონის ასულს — ახალციხის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის დირექტორს
15. ქვლივიძეს თამარ იოსების ასულს — საგარეჯოს რაიონის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის დირექტორს
16. ღამბაშიძეს ეკატერინე რევაზის ასულს — თიანეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს
17. ჩაჩუას ნინო პარმენის ასულს — სამტრედიის რაიონის მეღორეობის ჯიშთსაშენის მთავარ ზოოტექნიკოსს
18. ჩხიკვაძეს ნადეჟდა ნიკოლოზის ასულს — ავჭალის მერძეეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს
19. ძასოხოვას ბარბარე გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯიშე საქმისა და სოფლის მეურნეობის ცხოველთა ხელოვნური დათესვლის სამმართველოს უფროს ზოოტექნიკოსს
20. ხაჩატუროვას მარგო იაკობის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს ზოოტექნიკოსს
21. ხულორდავას სონია ათანასეს ასულს — წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს
22. ხუხუნაშვილს თამარ მათეს ასულს — გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს
23. ჯალაღანიას ლიდა ლევანის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესაქონლეობის სამმართველოს უფროს ზოოტექნიკოსს
24. ჯანაშვილს პელაგია გაბრიელის ასულს — სოფლის მეურნეობის ცხოველთა ხელოვნური დათესვლის ახალციხის პუნქტის ზოოტექნიკოსს

### საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორისა:

1. გოთოშიას ვენერა ერემიას ასულს — გარდაბნის სასურსათო ქარხნის დირექტორს
2. ღლონტს ელისაბედ ანტონის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროს ინჟინერ-მექანიზატორს

### საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმისა:

1. არზიანს ევგენია პეტრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ვეტერინარული სამკურნალოს ვეტერინარ ექიმს
2. ბანძელაძეს ვერა სინოს ასულს — ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის ვეტერინარული უბნის გამგეს.
3. გაბიანს მარიამ მელიტონის ასულს — მესტიის რაიონის ვეტერინარულ სამკურნალოსთან არსებულ დიაგნოსტიკური კაბინეტის გამგეს
4. დუგლაძეს ვერა ვლადიმერის ასულს — გორის რაიონის ტყვიავის ვეტერინარული უბნის გამგეს
5. ზაზიკაშვილს ელენე დიმიტრის ასულს — ბორჯომის სარაიონთაშორისო ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგეს
6. კობახიძეს დარიკო იასონის ასულს — ამბროლაურის რაიონის ხორცის კონტროლის სადგურის გამგეს
7. ლეკვეიშვილს ნინო სევერიანეს ასულს — საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
8. მართაშვილს კესარია მიხეილის ასულს — გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგეს
9. ფაიერს დორა ექვთიმეს ასულს — აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული ლაბორატორიის გამგეს
10. ღოღობერიძეს ქეთევან გრიგოლის ასულს — ახმეტის რაიონის სატყეო კომბინატის ვეტერინარ ექიმს
11. ყატაშვილს ბაბულია ვასილის ასულს — წითელწყაროს რაიონის ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის ეპიზოოტოლოგს
12. ყოჩიაშვილს რიმა სიმონის ასულს — თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის ვეტერინარული უბნის გამგეს
13. უუფარაძეს ევა მიხეილის ასულს — საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ვეტერინარ ექიმ-ლაბორანტს
14. ჩინჩალაძეს სერაფიმა სიმონის ასულს — თეთრი წყაროს რაიონის ვეტერინარული სამკურნალოს ვეტერინარ ექიმს
15. ჩოფიკაშვილს თამარ ვლადიმერის ასულს — ყაზბეგის რაიონის ვეტერინარული სამკურნალოს დიაგნოსტიკური კაბინეტის გამგეს
16. ჯოხაძეს არიადნა იორდანეს ასულს — ხაშურის რაიონის ვეტერინარულ სამკურნალოსთან არსებულ დიაგნოსტიკური კაბინეტის გამგეს

### საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა:

1. აბულაძეს ელენე ვასილის ასულს — რკინიგზის თბილისის საავადმყოფოს ქალთა კონსულტაციის გამგეს
2. აბაშიძეს ნინო გრიგოლის ასულს — ქ. თბილისის ცენტრალური კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგეს
3. ალექსიძეს მარიამ ესტატეს ასულს — ქ. თელავის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-ლაბორანტს
4. ალნიაშვილს ელენე იოსების ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის პარაზიტოლოგიური განყოფილების უფროსს
5. ბარნოვას ნატალია ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს
6. ბასოვა-მიქელაძეს ოლღა კოსმას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს პოლიკლინიკის გინეკოლოგიური კაბინეტის გამგეს
7. ბერიშვილ-სეფაშვილს ნინო ლევანის ასულს — ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მეექვსე რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს
8. გაბაევას მარიამ თევდორეს ასულს — თბილისის გარნიზონის პოლიკლინიკის ექიმს
9. გაბილაიას ლილი ვლადიმერის ასულს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების ექიმ-ორდინატორს
10. გაბუნიას თამარ ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო-პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს
11. გველესიანს ოლღა ილიას ასულს — ორჯონიკიძის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს
12. გოლუბენკოს ლუბა მიხეილის ასულს — აფხაზეთის ასსრ გულრიფშის ლენინის სახელობის სანატორიუმის ქირურგიული განყოფილების გამგეს
13. გუგუშვილს — ალექსანდრა ტრიფონის ასულს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
14. დიღმელოვას ევგენია მნაცაკანის ასულს — ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მეორე სამშობიარო სახლის ექიმ-ორდინატორს
15. დიდებაშვილს თამარ ალექსის ასულს — კასპის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის სტომატოლოგს
16. დოლიძეს სოფიო იასეს ასულს — ქ. თბილისის მე-13 პოლიკლინიკის ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტის გამგეს
17. დოლიძეს ეკატერინე დიმიტრის ასულს — მესტიის რაიონის ჰუბერის სასოფლო საავადმყოფოს გამგეს
18. დავითაშვილ-მირიანაშვილს ნინო ივანეს ასულს — ქ. თბილისის მეორე სამშობიარო სახლის ქალთა მესამე კონსულტაციის ვენერიული კაბინეტის გამგეს
19. ენუქიძეს თამარ მიხეილის ასულს — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მე-19 პოლიკლინიკის ქალთა კონსულტაციის გამგეს
20. ებანოიძეს ქეთევან ვლადიმერის ასულს — ქ. თბილისის ბავშვთა გაერთიანებული საავადმყოფოს ექიმ ფტიზიო-პედიატრს
21. ერისთავს ნინო შალვას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს
22. ვახვახიშვილს ბარბარე ილიას ასულს — ქ. თბილისის რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის ორგმეთოდიკური კაბინეტის გამგეს
23. ვაშაკიძე-ციციშვილს ნინო იოსების ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-გინეკოლოგს
24. ვაშაკიძეს მარიამ კონსტანტინეს ასულს — წაღვერის ბავშვთა სანატორიუმის მთავარ ექიმს
25. ზარაფიდის ერატო ივანეს ასულს — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ნაწლავების ინფექციის ჯგუფის ეპიდემიოლოგს
26. თოფურიას ანა რუბენის ასულს — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს კარდიოლოგიური კაბინეტის გამგეს
27. იმერლიშვილს სოფიო ივანეს ასულს — რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს
28. კალოიან-თურქიას თინა პლატონის ასულს — ფოთის ნავსადგურის მეზღვაურთა საავადმყოფოს ექიმ-სტომატოლოგს
29. კამკამიძეს თინათინ მიხეილის ასულს — ორჯონიკიძის რაიონული საავადმყოფოს პარაზიტოლოგიური განყოფილების გამგეს
30. კახიანს ოლღა ანდრიას ასულს — გორის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმს
31. კოსიიანს სირანუშ მკრტიჩის ასულს — ქ. ახალციხის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს
32. კოჩიევას ვერა ბიძინას ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. სტალინირის საოლქო სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგეს
33. კიკვიძეს მარიამ ერმილეს ასულს — საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების უფროს ორდინატორს
34. კობახიძეს თამარ დავითის ასულს ქ. თბილისის მე-9 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს
35. კოჩივარს იულია ივანეს ასულს — ქ. თბილისის ბავშვთა მესამე გაერთიანებული საავადმყოფოს მთავარ ექიმს
36. ლაზარიაშვილს მარიამ ზაქარიას ასულს — თელავის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორს
37. ლასხიშვილს ქეთევან პავლეს ასულს — ქ. თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის ჯანპუნქტის გამგეს
38. ლომჯარიას ევგენია გიორგის ასულს — მახარაძის ბავშვთა გაერთიანებული საავადმყოფოს ექიმ-პედიატრს
39. ლოლუას ქეთევან მიხეილის ასულს — თბილისის ქალაქის მეორე საავადმყოფოს რენტგენოლოგიური განყოფილების გამგეს
40. მაღრაძეს ნინო ერმილეს ასულს — აბაშის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმ-სტომატოლოგს
41. მაჩაბელს მარიამ ელიზბარის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს
42. მერაბიშვილს ოფელია ვარდენის ასულს — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „არაზინდოს" განყოფილების გამგეს
43. მელექსიშვილს მარიამ ნიკოლოზის ასულს — სანატორიუმ „ახალი ათონის" საკურორტო პოლიკლინიკის მთავარ ექიმს
44. მეჩხიას ტერეზა ლუკას ასულს — ჩოხატაურის რაიონის ტუბდისპანსერის გამგეს
45. მიქაძე-ვაჩნაძეს მარიამ ნიკოლოზის ასულს — კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „მეტალურგის" ექიმ-ლაბორანტს
46. მიროტაძეს ქეთევან მალაქიას ასულს — საჩხერის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს სანიტარულ-ეპიდემიურ დარგში
47. მენაბდეს თამარ ვლადიმერის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის ქ. თბილისის ტუბსტაციონარის განყოფილების გამგეს
48. მარულიდის სოფიო რომანის ასულს—აჭარის ასსრ ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგეს
49. მუშკუდიანს ზინაიდა ტარასის ასულს — გორის რაიონის სოფელ შინდისის ამბულატორიის მთავარ ექიმს
50. მჭედლიშვილს თამარ ადამის ასულს — ფოთის საქალაქო ვენეროლოგიური დისპანსერის ორდინატორს
51. მეტონიძეს ნინო ვარლამის ასულს — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის უფროს ეპიდემიოლოგს
52. მეტეხელს ელენე მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური კარდიორევმატოლოგიური დისპანსერის ექიმს
53. ნეიგებაუერს მარიამ ფრანცის ასულს — ქ. თბილისის პირველი საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების ორდინატორს
54. ნიკოგოსოვას მარგარიტა სტეფანეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეანო - გინეკოლოგიური სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის ახალშობილთა განყოფილების გამგეს
55. ნიკოლაიშვილს თამარ გიორგის ასულს — თბილისის ქალაქის მეოთხე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმ-ორდინატორს
56. ობლიგინას ალექსანდრა ვასილის ასულს — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების საქართველოს ოლქის სამხედრო ნაწილის სამხედრო სამედიცინო სამსახურის ექიმ-სტომატოლოგს
57. ორაგველიძეს ელისაბედ ნოეს ასულს — თეთრი წყაროს რაიონის კოდის სასოფლო საექიმო უბნის გამგეს
58. ორლოვსკაიას მარიამ ზაქარიას ასულს — თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგეს
59. ჟამუტაშვილს ნინო ივანეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეანო-გინეკოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
60. ჟღენტს? ევა შიოს ასულს — ქ. თბილისის № 1 ბავშვთა პოლიკლინიკა-კონსულტაციის უბნის ექიმს
61. ჟორდანიას თამარ ვიქტორის ასულს — სამტრედიის სამშობიარო სახლის კონსულტაციის გამგეს
62. რაზმაძეს რიმა იოსების ასულს — ბორჯომის სანატორიუმ „მთის ხეობის" ექიმ-ორდინატორს
63. როინიშვილს დარეჯან გიორგის ასულს — ტყიბულის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
64. რამიშვილს თამარ ივანეს ასულს — აჭარის ასსრ ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგეს
65. სალამოვას სოფიო ბესარიონის ასულს — თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების უფროსს და უფროს ორდინატორს
66. სადათიერაშვილ-ტურიაშვილს იულია გრიგოლის ასულს — რუსთავის ქალაქის საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების ექიმს
67. სევასტიანოვას ფოტინია გიორგის ასულს — დ. წალკის პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს
68. სანიცინას მარიამ ნიკოლოზის ასულს — ქალ. თბილისის მე-16 პოლიკლინიკის ექიმ-ქირურგს
69. სულაქველიძეს თამარ სერგოს ასულს — ქუთაისის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის მთავარ ექიმს
70. სოხაძე-ქაჯაიას ნადეჟდა დავითის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიკრობიოლოგს
71. სისორდიას ელისაბედ პორფირეს ასულს — ქ. სოხუმის რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ეპიდემიური განყოფილების გამგეს
72. ტოტოჩიას ცაცა ვასილის ასულს — ქ. თბილისის მეორე ვენეროლოგიური დისპანსერის ექიმს
73. ფიდიურს ვერა დავითის ასულს — ქ. გორის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორს
74. ქარდავას ვერა დავითის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დახმარების სამკურნალო პროფილაქტიკური სამმართველოს უფროს ინსპექტორს
75. ქისტაურს მარიამ ივანეს ასულს — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის დეზინფექციისა და დერატიზაციის განყოფილების უფროსს
76. ღარიბაშვილს ქეთევან იოსების ასულს — თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის სოფლის საავადმყოფოს გამგეს
77. ყუბანეიშვილს ელენე ტარასის ასულს — წულუკიძის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს
78. შაიშმელაშვილს ნინო ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის კალინინის რაიონის მე-14 პოლიკლინიკის უბნის ექიმს
79. შავთვალიშვილს რუსუდან დიმიტრის ასულს — ქ. თბილისის კიროვის რაიონის ბავშვთა მეორე კონსულტაცია-პოლიკლინიკის მთავარ ექიმს
80. შატბერაშვილს მარიამ ალექსანდრეს ასულს — ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ბავშვთა საექიმო ფიზიკური კულტურის დისპანსერის ექიმ-ორდინატორს
81. შაშიკაშვილს ნევრასტან რეჯების ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს
82. შუბაშვილს ოლღა დავითის ასულს — რკინიგზის თბილისის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილეს
83. ჩილინგარიშვილს თამარ პავლეს ასულს — ქუთაისის საქალაქო სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის განყოფილების გამგეს
84. ჩაჩიბაიას ეკატერინე ესტატეს ასულს — კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „დრუჟბას" უფროს ორდინატორს.
85. ჩიხლაძეს ალექსანდრა იპოლიტეს ასულს — ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
86. ჩხიკვიშვილს ოლღა თეოფილეს ასულს — გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის სასოფლო საექიმო ამბულატორიის გამგეს.
87. ცინცაძეს თინათინ ნესტორის ასულს — ლანჩხუთის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ბავშვთა კონსულტაციის გამგეს
88. წილოსანს ზინაიდა კალისტეს ასულს — ლანჩხუთის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების თერაპევტს,
89. წიწივაძეს ანა ლევანის ასულს — კურორტ წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს პოლიკლინიკის ექიმ-რენტგენოლოგს
90. ხუროძეს თინათინ ვარლამის ასულს — აფხაზეთის ასსრ გალის სანიტა-

(დასასრული მე-3 გვერდზე).







# გმირი დედა

დედა! ეს სანუკვარი სიტყვა უმალ წარმოგვიდგენს საკუთარ მშობელს, რომელიც უსაზღვროდ ბევრს შრომობს, მაგრამ ეს თითქოს არა ღლის, ბევრს ფიქრობს, ბევრ უძილო ღამეს ათენებს... მაგრამ იგი არასოდეს არ ჩივის... და თუ დედას 16 შვილი ჰყავს, მაშინ ხომ თექვსმეტჯერ მეტია სიმწარეცა და სიხარულიც.

ბაბალე და ისაკი ბახტაძეებმა ოჯახი ჯერ კიდევ 1905 წელს შექმნეს. ოჯახის მზრუნველი, შვილების მოყვარული მამა მშენებელ-ინჟინერი ისაკი დილით ადრე მიდიოდა სამუშაოზე და სახლში გვიან ბრუნდებოდა, ხოლო მცირეწლოვანი შვილებისათვის ზრუნვა ბაბალეს უხდებოდა. იგი სისხამ დილიდან გვიან ღამემდე თავს დასტრიალებდა შვილებს, ცივ ნიავს არ აკარებდა მათ... მაგრამ დედის სურვილისა და ზრუნვის მიუხედავად, 16 შვილიდან მშობლებს 12 გაეზარდათ.

ბაბალეს ვეწვიეთ სახლში. იგი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — ჩუღურეთში ცხოვრობს თავის უმცროს ქალიშვილ ნადეჟდასთან ერთად. მას ძველი ყაიდის სახლში აივნიანი ბინა უჭირავს. ბინა არაფრით არ არის შესანიშნავი, მაგრამ მის მორთულობაში კი არის რაღაც ორიგინალური. შეხვალთ სახლში და შესდგებით, გეგონებათ, რომ ფოტოსურათების გამოფენაზე მოხვდით. აქ ყველგან — კედელზე და მაგიდებზე — დევს, ჰკიდია სურათები, დიდი და პატარა სურათები, სურათები, რომლებსაც ეტყობა ძალიან სათუთად უვლის დედა და როცა შეხედავთ — აი ჩემი სიმდიდრე — ჩემი შვილებიო — გეუბნებიან დედის თვალები.

...1941 წელი. ამ წელს გარდაეცვალა ბაბალეს ამაგდარი მოხუცი ქმარი. დიდი სამამულო ომი. სამშობლო განსაცდელშია. პატრიოტმა დედამ წინ დააყენა სამშობლოს სიყვარული და მის დასაცავად ფრონტზე 9 შვილი გაგზავნა. ისინი იბრძოდნენ კრასნოდარში, ყირიმში, მოსკოვის მისადგომებზე... დაბრუნდა 7 შვილი. ორი ვაჟკაცი — ვალოდია და ალექსანდრე კი გმირული სიკვდილით დაეცნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ მათ თითქოს კვლავ ელის, ელის დედის გული...

— ჩემი შვილები... მოუკვდეთ დედა, — ამბობს ბაბალე და გადმოგიწყობთ სურათებს, — ინჟინერ-ქიმიკოსი ვალოდია და მომღერალი ალექსანდრე დამეღუპნენ დიდ სამამულო ომში. ომმა დააქცია ჩემი ოჯახი, თორემ მე ახლა თორმეტი ჯანსაღი შვილის დედა ვიქნებოდი.

დედა განაგრძობს შვილებზე თხრობას: — უსაზღვროდ მახარებენ ჩემი შვილები. კოლია შახტმშენებელია და ტყვარჩელში მუშაობს, იგი დიდ სამამულო ომშიც იბრძოდა და ფინეთის ფრონტიც აქვს მოვლილი. მოიცათ, — გვითხრა მან და — გადმოიღო 1956 წლის 21 ივლისის გაზეთი „კომუნისტი", რომელშიც ცნობილი შახტმშენებლის ნიკოლოზ ბახტაძის საუკეთესო მუშაობაზეა ლაპარაკი. მას ათობით მაღალკვალიფიციური მეშახტე აღუზრდია, უმწიკვლო და ენერგიული მუშაობისათვის ჯილდოები დაუმსახურებია. უფროსი შვილი გიორგი მამის კვალს გაჰყვა — მშენებელი ინჟინერია, მიხეილი — თბილისის საქალაქო საბჭოში მუშაობს მეგემავ ინჟინრად, ვიქტორი ომის დროს მფრინავი იყო, ახლა ლენინგრადშია, ნინო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის საამქროს უფროსის მოადგილეა... სევერიანე, ვერა, ნადეჟდა და სხვები სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობენ. ყველას მოუნახავს თავისი ადგილი ცხოვრებაში.

უსმენთ დედას, უყურებთ სურათებს, და გიკვირთ, ამ სუსტმა ქალმა როგორ გამოზარდა 12 შვილი. რამდენი უძილო ღამე გაუტეხია შვილების საწოლთან, რა დიდი ჯაფა და გაჭირვება უნახავს, რამდენი ცრემლი დაუღვრია ომის დროს... იგი კი მხნედ განაგრძობს: — ყველაზე სასიხარულო დღეები ჩემს ცხოვრებაში მაინც მაშინ არის, როცა ყველანი ერთად გროვდებიან ჩემთან. ამ დროს ისინი კვლავ პატარები მგონია და ვფიქრობ თითქოს ისევ ესაჭიროებათ ჩემი ზრუნვა.

დედა ნაზი ღიმილით შენიშნავს, რომ ერთი სასაყვედურო მაინც მაქვს შვილებთან: — მე და ჩემმა ქმარმა ძნელ პირობებში აღვზარდეთ 12 შვილი. ახლა ათი შვილი მყავს და მხოლოდ 12 შვილიშვილი მახარებს, მაშინ როცა ჩემი შვილები ბევრად უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ჩვენ ვიმყოფებოდით წინათ...

ბაბალე ენაწყლიანი მოსაუბრეა. იგი სიამოვნებით იგონებს 1944 წლის ნოემბერს, როცა კრემლში იყო და მაღალი ჯილდო „გმირის დედის" ორდენი მიიღო.

— მე უაღრესად მადლიერი ვარ საბჭოთა მთავრობის. საბჭოთა მთავრობის ზრუნვა და დახმარება რომ არ მქონოდა, ცხადია, გამიძნელდებოდა შვილების აღზრდა, — ამბობს გმირი დედა.

ბაბალეს არაფერი აკლია, მაგრამ სახელმწიფო მაინც ზრუნავს მისი ბედნიერი მოხუცებულობისათვის. იგი იღებს პენსიას, ხოლო ყოველწლიურად უფასო საგზურით ზაფხულს ატარებს ჩვენი ქვეყნის განთქმულ კურორტებზე. წელს იგი ისვენებდა გაგრაში სანატორიუმ „რიწაში", შარშან — კისლოვოდსკში, ადრე — ახალ ათონში, ბორჯომში და სხვ.

ენერგიული ქართველი ქალი, სასახელო დედა საზოგადოებრივი საქმიანობისთვისაც პოულობდა დროს. წლების განმავლობაში იგი სახალხო სასამართლოს მსაჯული იყო, ხოლო ომის დროს ჰოსპიტალში დაჭრილებს უვლიდა, ამანათებს უგზავნიდა მეომრებს ფრონტებზე.

კარგი მოქალაქე და დიასახლისი, რომელიც ახლა 72 წლისაა, პოლიტიკის საკითხებშიც ერკვევა, ისე როგორც ყველა საბჭოთა დედას, მას ახარებს ჩვენი მთავრობის ენერგიული ღონისძიებანი, რომ ქვეყნად აღარ იყოს ომი.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: გმირი დედა ბ. ბახტაძე და მისი შვილები.

# მლეთის მთებიდან

ამ გოგონას საოცრად მეტყველი თვალები აქვს. ასეთი თვალები და ღიმილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ბუნებით კეთილსა და სპეტაკ ადამიანს. სწორედ ასეთად იცნობენ დუშეთის რაიონში ნათელა ბურდულს — სოფელ მლეთის კოლმეურნეობის ფერმის კომკავშირელ მწველავს.

ვისაც საქართველოს სამხედრო გზით უმგზავრია, მას აუცილებლად ემახსოვრება ნათელას მშობლიური სოფელი. იგი შეფენილია სამების მთის დაფერდებაზე, არაგვის ვიწრო ხეობაში. აქ ხალხი კავკასიონის მთებივით დინჯი და აუჩქარებელია. რაც შეეხება ნათელას, იგი ვერცხლისწყალივით მოძრავი და მოუსვენარია. ჩანს, მართლაც არ გამოჰყოლია დინჯი და ზოგჯერ მოღუშული მთების ხასიათი.

როგორც მთების მკერდს ამშვენებენ ალპური ყვავილები, ისე სოფელს ამშვენებენ მოწინავე ადამიანები. მლეთი განთქმულია ოქროს კანძის ოსტატებით — მოწინავე მწყემსებით, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ღია ცის ქვეშ — კავკასიონის მთებსა და ნოღაის ტრამალებში ატარებენ. მლეთელები ასევე ამაყობენ მწველავებით, მეცხოველეობის სხვა მუშაკებით.

ერთი მათგანია ნათელა ბურდული.

იგი კარგა ხანია, რაც ფერმაში სამუშაოდ მოვიდა. იმ ახალგაზრდებს შორის რომლებიც ახლა ფერმაში მრავლად არიან და საუკეთესოდაც შრომობენ, ნათელა სამართლიანად ითვლება პირველ მერცხლად, რომელიც არ შეუშინდა სიძნელეებს და ორიოდე წელიწადში მოწინავე მწველავი გახდა.

პირველ ხანებში გაუჭირდა. მისი ტოლები მაშინ ასკინკილას და დამალობანას თამაშობდნენ, ნათელა კი 10 ძროხას უვლიდა. დიდია სიყვარულის ძალა. რაკი მწველავობა შეიყვარა და თანაც უფროსი ამხანაგების მხარდაჭერა ჰპოვა, თანდათანობით გაიწაფა, ახლა მისი თითები ისე თავისუფლად მოძრაობენ ძროხის ცურზე, როგორც ვირტუოზი პიანისტის თითები კლავიშებზე. დიდი გულისყურით უვლის ნათელა თავის ძროხებს, ჩვეულებრივ რიჟრაჟზე დგება, მთის ანკარა წყაროთი პირს იბანს და მერე ძროხებთან მიდის, სათითაოდ მიუალერსებს მათ, დროზე წველის და ასევე დროზე აჭმევს და არწყულებს. კარგი მოვლის შედეგად ძროხებს ბალანი უბზინავთ, რძესაც ბევრს იძლევიან.

შარშან ნათელამ, ნაცვლად ათასი კილოგრამისა, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.886 კილოგრამი რძე მიიღო. საგულისხმოა, რომ მას ადგილობრივი ჯიშის ძროხები ჰყავს, რომლებიც არც ისე ბევრს, მაგრამ მსუქან რძეს იძლევიან.

მიღწეულით დაკმაყოფილება ნათელას და მის მეგობრებს როდი სჩვევიათ. მწველავთა კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელშიც ნათელაც შედის, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს წელს თვითეულ ძროხაზე აწველონ 2.200 კილოგრამი რძე.

ვალდებულება წარმატებით სრულდება. იანვარ-თებერვალში მიღებულია გაცილებით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ნათელა კარგი საზოგადო მოღვაწეც არის. როგორც მლეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, აქტიურად მონაწილეობს სოფლის კეთილმოწყობაში. მლეთელებს აქვთ ელექტროსადგური, რადიოკვანძი, საშუალო სკოლა-ინტერნატი, კულტურული ცხოვრების სხვა მრავალი სიკეთე.

კავკასიონის მთებში ჯერ კიდევ ზამთარია, მთიელი გოგონების გულში კი გაზაფხული ჰყავის.

ა. თომაძე.

# თუმცა ქალია ოსტატად

ჩარხებთან, საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებში... ერთი სიტყვით, აქ ყველგან შეხვდებით მუშა ქალებს, კონსტრუქტორებსა და ინჟინერ-ტექნიკოს ქალებს.

ნუნუ ტოფაძეც ტექნიკოსია — საშუალო სკოლის შემდეგ ავტომექანიკური ტექნიკუმიც დაამთავრა. მაგრამ ნუნუ მაინც სხვაა. იგი პირველი ოსტატი ქალია ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

გულის კარნახით მოვიდა ქუთაისელი ქალიშვილი მშობლიურ საწარმოში. მოვიდა და თან მოიტანა ცოდნა, შრომისადმი სიყვარული, ახალგაზრდული შემართება. ეს იყო 1956 წელს... ნუნუ ტოფაძემ № 2 სამსხმელო საამქროში ტექნიკოს-ტექნოლოგად დაიწყო მუშაობა. შეუმჩნევლად გაირბინა დრომ... ორი წელი რა არის, ამ ორმა წელმა სახელი გაუთქვა ნუნუს, ბეჯითსა და შრომისმოყვარე ქალიშვილს მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა.

და როცა საქმემ საამქროს საკოპე განყოფილებაში ბლოკების უბნის ახალი ოსტატი მოითხოვა, ჯერი ნუნუზე შეჩერდა.

ნუნუ ტოფაძის უბანზე თვრამეტი ქალიშვილი მუშაობს. მათ შეწყობილ საქმიანობაზეა დამოკიდებული მეყალიბეთა გამართული მუშაობა. საამქროს საყალიბო უბანზე, სადაც ამირან კაპანაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა მუშაობს, კონვეიერს უწყვეტ ნაკადად მიაქვს კოპები. ეს ნუნუ ტოფაძის უბნის ნახელავია. მეკოპე ქალიშვილებმა ცუდად რომ იმუშაონ, მეყალიბე ჭაბუკები ჩამორჩებიან, შერცხვებიან.

იციან ეს ქალიშვილებმა, და მას შემდეგ, რაც მეყალიბეთა ბრიგადას კომუნისტური შრომის საპატიო სახელი მიეკუთვნა, არასოდეს არ შეურცხვენიათ ბიჭები. ეს კი არა, ცვლაში 150 ცალი კოპის მაგივრად 160-170 ცალსაც კი ამზადებენ. ახლა ნუნუ ტოფაძის უბანი ლენინურ შრომითს ვახტზე დგას და იმისათვის იბრძვის, რომ ცვლაში 180 კომპლექტი ბლოკის კოპი დაამზადოს.

დაუზარებლად ეხმარება ოსტატი საამქროში ახლად მოსულ ქალიშვილებს, მასებრ სიმწიფის ატესტატით რომ მოაშურეს ქარხანას.

ნუნუ მარტო ოსტატი როდია. იგი აგიტატორიც არის, მეორეთანრიგოსანი კალათბურთელიც და შესანიშნავი მოცეკვავეც. მან შეაყვარა ქალიშვილებს სპორტი და ცეკვა. საამქროში მოცეკვავეთა ანსამბლია, მასში შვიდი ქალია და შვიდივე ნუნუ ტოფაძის უბნიდან. ესეც ოსტატის დამსახურებაა...

ახლა მეკოპე ქალიშვილები დღეში შვიდ საათს მუშაობენ. მაგრამ წინათ რვა საათში რომ აკეთებდნენ, იმაზე მეტ საქმეს აუდიან. ბევრი დრო რჩებათ მათ ტექნიკუმის საღამოს განყოფილებაზე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ ან საღამოს ფაკულტეტზე სწავლისათვის, კულტურული დასვენებისა და გართობისათვის. ოსტატიც საამქროში თუ მის გარეთ თავისი უბნის ქალიშვილებთან ტრიალებს... ახარებს თვითეულის წარმატება შრომასა და სწავლაში, სპორტსა და თვითმოქმედ კოლექტივში.

თავის წარმატებაც ახარებს ოსტატს. წლევანდელ 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს ნუნუ ტოფაძეს ოსტატობის ორი წელი შეუსრულდა.

კანონიერი სიამაყით ამბობენ მასზე ავტომობილმშენებლები:

— თუმცა ქალია ოსტატად, ვაჟკაცებს არ ჩამოუვარდება, ჩვენი ქარხნის სახელოვანი ადამიანია.

ასეც არის.

შ. ჯავახაძე.

# ბუჩქებს უვლის ლამარა

პირველად ამ სამი წლის წინათ მოკრიფა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მაშინ მან ხეირიანად არც კი იცოდა, თუ რაოდენ ჯაფას მოითხოვდა ჩაის პლანტაციის მოვლა. ახალგაზრდა ქალიშვილი მუდამ დახელოვნებულ მეჩაიეებს შორის ტრიალებდა, მათგან გამოცდილებას იძენდა.

ახლა კი თვითონ ეკითხებიან, თუ როგორ მოიქცნენ. რა გააკეთონ ბუჩქის უკეთ მოსავლელად. და ისიც კმაყოფილებით ეხმარება ყველას გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოში".

ვინ არის იგი?

ლამარა კვესელავა.

პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა ლამარა. მასწავლებლობა უნდა დაეწყო, მაგრამ სექტემბრამდე უსაქმოდ ხომ არ გაჩერდებოდა. და ისიც გვერდში ამოუდგა მკრეფავებს ჩაის უხვი მოსავლის ასაღებად.

სამსახურის დაწყების დროც მოვიდა, წარბიც არ შეუხრია შრომაში გართულ გოგონას. ადრე ადგებოდა, კალათს აიღებდა და მისთვის მოსავლელად ჩაბარებული ნაკვეთისაკენ მიეშურებოდა...

ლამარა ახლა უკვე მოწინავე მეჩაიედ ითვლება მთელ რაიონში. გასულ წელს მან ყველაზე ადრე დაამუშავა ჩაის პლანტაცია და შედეგიც კარგი მიიღო. როცა ფოთოლი უხვად იყო მოსული ლამარა მაშინ 90-100 კილოგრამს კრეფდა დღეში. კრეფის დაწყებიდან მესამე თვეში კი წლიური გეგმა შეასრულა და გეგმის ზევით დაიწყო კრეფა. კოლმეურნეობის გამგეობას სიტყვა მისცა — დამატებით მოეკრიფა სამი ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. პირობა შეასრულა. წლის დამლევამდე მოკრიფა 8.212 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

საქმით უპასუხებს ლამარა კვესელავა სკკპ დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მან უკვე დაამთავრა თავის ნაკვეთზე ფოსფორის, კალიუმის და ორგანული სასუქების შეტანა და სადრენაჟე თხრილების ამოღებას შეუდგა... პლანტაციის კარგად დამუშავებით ხვდება იგი ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

გ. ბართია.

ერიკა ლიპსიუსი,
გერმანელი პოეტი ქალი.

# ფხიზლად, დედებო!

— გვინდა მტკიცე მშვიდობა! — მოითხოვენ დედები —
გვინდა ძირი დაიწვას უმოწყალო კვეთების,
მზე ჩაუდგეთ თვალებში ჩვენს მოცინარ პატარებს,
კვამლის ნაცვლად ავზიდოთ ცაში ნათლის სვეტები, —
ქვეყნად ყველა მშობელი ასეთ მიზანს ატარებს!
— გვინდა მტკიცე მშვიდობა! — მოითხოვენ მამები, —
ტანკის ნაცვლად სახნისებს ჰქონდეს ჩვენი მარჯვენა,
თავის ჭერქვეშ ხედავდეს დედა შვილის მარჩენალს,
დავივიწყოთ დროება ნგრევისა და ვაების, —

არასოდეს სწყევლიდეს კაცი თავის გაჩენას.
გვინდა მტკიცე მშვიდობა! — მოუსმინეთ ჭალარას, —
საკმარისად ვიგემეთ სუსხი ციებ-ცხელების!
დაე მშვიდად გაითბოს ბერიკაცმა ხელები!
დაე ცეცხლის გუთანი ველებს ნუღარ დალარავს,
როგორც ჩვენმა თაობამ მორწყო ბრძოლის ველები!

— გვინდა მტკიცე მშვიდობა! — ყური უგდეთ პატარებს, —
ძვირად გვიღირს სიცოცხლე ძმების, დედის, მამების...
ყველას უყვარს სიცილი, ყველა ხელით გვატარებს —
გაგონებაც არა გვსურს ომისა და ვაების,
მზეში გვინდა თამაში, მიწურებში კი არა.

დედა ვარ და მოგიხმობთ ყველა დედის სახელით,
შრომის დროშით დაფარეთ ყველა ქვეყნის ნაღველი,
ძმობის დროშით დაშრიტეთ ცის და მიწის ვარამი,
უფრო ფხიზლად გეჭიროთ ძმობის გამომსახველი
და მომავლის იმედი — მტრედისფერი ალამი!

გერმანულიდან თარგმნა ა. გელოვანმა.

# მშობლიურნი

ნარკვევი

თქვენ სამნი ხართ. სამივე ახლობელი ჩემთვის— სულისმიერნი. საკვირველია, არცერთი არ იცნობთ ერთმანეთს. მხოლოდ ჩემში იყრით თავს თქვენი სიკეთით, სიმაღლეებით. ოდესმე მაინც უნდა მოვიხადო ვალი თქვენს წინაშე იმ კარგისათვის, რაც ჩემში დაგიტოვებიათ.

დღეიდან ვიწყებ.

* * *

შენ საკვირველი ქალიშვილი ხარ, ლეილა. ამაყი, უტეხი, კეთილშობილი.

შენ ექიმი ხარ!

დილით სამსახურის გზაზე დამდგარს ზოგჯერ მიყვარს შენთან შემოვლა. ზოგჯერ ისიც ხდება: მხრებში მოხრილი, შავოსანი დედა ჩურჩულით მეუბნება — ლეილას სძინავსო. მაშინ მე ფეხაკრეფით ჩამოვდივარ თქვენი კიბიდან, რადგან შენ გძინავს! ზარმაცი არ ეგონო, ძვირფასო, ვინმეს... აი მე იმ ვინმეს ვეტყვი, რომ შენ ღამე ნათევი ხარ. შენ ღამეებს ათევ სიცოცხლის სადარაჯოზე. აბა ტელეფონზე აკრიფეთ 03. თუნდაც გამთენიის ხანს. აუცილებლად გიპასუხებენ. და ზოგჯერ ეს შენი ხმაა, ლეილა წივწივაძე—წყნარი, დინჯი: „სასწრაფო დახმარების სადგური გისმენთ!" და უკვე გხედავ შენ ქათქათა ხალათით. სამედიცინო ხელსაწყოების ჩანთას იღებ და მძღოლს აბარებ.

ჩქარა! ჩქარა!

მანქანა ტალახიან გზაზე ჩერდება... მძღოლი თავისთვის ბუტბუტებს რაღაცას. შენ კი ფეხით მიდიხარ იქ, სადაც მიგელიან. ჩქარა! ჩქარა!

საწოლზე ახალგაზრდა ვაჟკაცი წევს. წევს კი არა, იკრუნჩხება მწვავე ტკივილებისაგან. ოთახში იბრძვის სიკვდილ-სიცოცხლე და შენ გიყურებენ, შენ, ლეილა, ჩემო ბავშვობის მეგობარო, ვით სიცოცხლის მომნიჭებელს.

შენ ფერი მიგდის.

შენ გახსენდება საკუთარი ოთახი, ტკივილებისაგან მოკუნტული უფროსი ძმა. ვაი, რომ დაიგვიანეთ! ვაი, რომ მხოლოდ სტუდენტი იყავი მაშინ...

საკუთარი დედის თვალებით შემოგყურებს ხნიერი ქალი. შემოგყურებს, ვით სიცოცხლის მომნიჭებელს.

რა ძნელია!
რა ბედნიერი ხარ!
ჩქარა! ჩქარა!
პირველი დახმარება!

და მერე სანიტრებთან ერთად მიგყავს მანქანამდე ახალგაზრდა, იქ, საავადმყოფოში, დოსტაქრები ამარცხებენ სიკვდილს. და მე ვამაყობ შენით, რადგან ამ ბრძოლის პირველი წუთები შენ დაიწყე, ჩემო დობილო.

ამიტომ ჩამოვდივარ ფრთხილად შენს კიბეზე.

მხოლოდ ღამით შემოვივლი შენთან. ოღონდ კიდევ ერთხელ მიამბე რამე, თუნდ უძველეს ქალაქ სიღნაღზე, სადაც წლობით მუშაობდი, თუნდაც შუამთაზე.

ჩვენი უბნის სასწრაფო დახმარებაც შენა ხარ. ასეც ხდება ხოლმე: შეშფოთდება კერესელიძის წყნარ ქუჩაზე ვინმეს ოჯახი, და თუნდაც შუაღამე იყოს, არ დაგერიდებით.

ბავშვობის მეგობარო!

გულისხმიერო ადამიანო!..

* * *

მე რომ შემეძლოს, ოქროს ვარსკვლავს დაგკიდებდი მკერდზე.

მე რომ შემეძლოს, ქვეყანას დავანახვებდი ჩემს ქართლის ველს, დატოტილ ფრონეს და იქვე პატარა სოფელს — აბისს.

და შენს თვალებს, ნინა ძალო.

და შენს ხელებს, ნინა ირემაძე.

შენით დავინახე და შევიყვარე ბავშვობის დღეებში გამრჯე ადამიანი.

იყო ზაფხულის დღეები, როცა ჩვენი უბნის ბავშვები კიტრსა გპარავდით ბოსტანში, რადგან გამოკეტილი იყო შენი სახლის კარი.

შენი ბაღის ალუბლის ხეებზე მივცოცავდით, რადგან გამოკეტილი იყო შენი კარი.

საღამო ხანს ბრუნდებოდი ჭარხლის ნაკვეთიდან, და თავჩაქინდრულნი გივლიდით გვერდს. მაგრამ ხომ იყო დღეები, როცა გაზეთს გიკითხავდით დამარცვლით; როცა წიგნი მშრომელ ქალზე მარიამ დემჩენკოზე გვესაუბრებოდა.

მაშინ აღარავის ახსოვდა შენი ბოსტანი, შენი ალუბლები.

ზოგჯერ ფეხშიშვლები მოგდევდით მინდორში. ჭარხალს ქიას ვაცლიდით. ბოთლში ვინახავდით, და მერე ვითვლიდით, ვინ უფრო მეტი მავნებელი მოაშორა ნინა ძალოს ნაკვეთსო. ჩვენ კანტორაშიც მოგდევდით. გამგეობის კრებებზეც. საერთო კრებაზეც.

ბჟუტავდა ნავთის ლამპა, ყაყანებდნენ ქალები და ბჭობდნენ ხნიერი სახლიკაცები.

„ამხანაგებო",... იწყებდა თავმჯდომარე.

ახლა დაბერდი.

ისევ გოჭებივით ყრია ბოსტანში კიტრი.

იცინიან ალუბლის კუნწულები.

ისევ ისეთი თვალები გაქვს.

შენ ერთი მათგანი ხარ, ჩვენი გამრჯე გლეხკაცობისა, ჩვენი მუხლჩაუკეცელი მშრომელებისა. მხოლოდ ერთი მათგანი, ერთი ნაწილი.

და მაინც, რომ შემეძლოს, ოქროს ვარსკვლავს დაგკიდებდი.

სამყაროს დავანახვებდი შენს პატიოსან ხელებს!..

* * *

ვერის ბაზარზე გვირილებს ვყიდულობ, რადგან შენ გვირილები გიყვარს, ნათელა, მეთულუხჩის ქუჩაბანდში მოვდივარ. იქნებ შინ არც დამხვდე. მაგრამ მე ბარათს დავწერ: „ვიყავი, ვერ განახეთ. გკოცნით!"

და კარის ღრიჭოში შევდებ.

თეთრ გვირილებსაც იქვე დავტოვებ.

ასე მოვდიოდი შენთან ჩემი ახალგაზრდობის გარიჟრაჟზე — გაფშეკალ ნაწნავებიანი სასაცილო გოგო.

მოვდიოდი, როგორც პოეზიის საკურთხეველთან, რადგან შენ ჩემი მასწავლებელი იყავ!

რადგან შენ შემაყვარე ლექსი!

შენ ხმა ისეთივე დაგრჩა, ნათელა. ისევე კითხულობ ლექსებს, ხანდახან ჩემსასაც, რაღაც ბავშვური ღუღუნით.

ოი, როგორ მიყვარს ეგ ხმა.

პირველად მან გამაგონა გალაკტიონის ლექსის მუსიკა.

არც ის მავიწყდება — შენ მასწავლიდი კლასში ბაირონისა და შელლის ენას.

ყველას გვიყვარდი.

ვაკრიალებდით დაფას, სადაც „უწესო" ზმნები უნდა ჩამოგეწერა. მაგიდაზე ლამაზ კალმისტარს გიდებდით.

ყველას უყვარდი!

ბევრი გიყვარდა!

და მე ვეჭვიანობდი, ვიბუტებოდი, ისე, როგორც ბავშვებს სჩვევიათ.

მე თიხა ვიყავი შენს ხელში და შენ გსურდა გამოგეძერწე რაც შეიძლება ლამაზი.

მე მართვე ვიყავი შენი და შენ გსურდა სიმაღლეების დაპყრობა გესწავლებინა ჩემთვის.

არ ვიცი, როგორ შევძელით ეს. ერთი რამ კია:

მიყვარს სილამაზე.

ვოცნებობ მწვერვალებზე.

ნათელა,

პირველი სიყვარულის შესახებაც შენ გამოგიტყდი... სასაცილო, ნაწნავებგაფშეკილი გოგონას პირველი სიყვარული!

და მოხდა საკვირველება — შენ არ დამცინე. ახლაც, ძნელ დღეებში შენ მახსოვხარ, არ იფიქრო, რომ უმადური ვარ — თუკი მხოლოდ საკუთარ ღელვაზე გელაპარაკები და შენსას არასოდეს არაფერს გკითხავ: ეს მხოლოდ მოწიწებაა ჩემი შენდამი — მოწაფისა მასწავლებლისადმი.

ზოგჯერ მოვდივარ შენთან მხოლოდ ზოგჯერ. მომაქვს თეთრი გვირილები.

ნეტავი შინ დამხვდებოდე, ძვირფასო ოსტატო! —

ნათელა!..

ნაზი კილასონია.



ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის მოწინავე მუშა კომკავშირელი რიმა ბაკურაძე ლენინურ შრომითს ვახტზე დგას და იბრძვის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად. ცვლაში დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.
სურათზე: რიმა ბაკურაძე.
ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# სიმღერა დედაზე

ვასილ გვეტაძე

ყველაფერზე უფრო თბილი
მათი უბე-მკერდებია...
სიხარულში ცოცხლობენ და
სიხარულში ბერდებიან.

აკვნის თავზე ღუღუნებენ,
თითქოს თეთრი მტრედებია!
მტრედებია?.. არა, ჩვენი
გამომზრდელი დედებია!

სადაც მწვანე კორდებია,
ყანაა და ქედებია, —
საჯაროდ და გასარჯელად
გული აუმხედრებიათ,

თავსაფრებით თავწაკრულნი
საქმეს ცეცხლად ედებიან;
განა მარტო სახლს და კერას,
მარტო ჯალაბს ჯერდებიან?

დედის გული, დედის გული, —
თითქოს ცხელი ბუხარია,
ხშირად ღამენათევარი,
ზოგჯერ დუმს და მწუხარია,

ხელს დაადებ, — არცა ფეთქავს;
ყურს დაადებ, — მჭუხარია:

რას გაიგებ რა აწუხებს,
ანდა რა დროს უხარია.

იადონის ბუდე ერქვას
აკვანს გათლილს სხვა ფიცარით,
დედა, დედა სანატრელი,
სალოცავი, საფიცარი...

იქნებ, შორს მყოფს თან ვერ
მოგწვდეს,
გულით შენთან მაინც არი...
— დედის გულო, სად არ მახლდი,
რა ცეცხლში არ დამიცავი!

როცა ნალმმა დაიღმუვლა,
გული ველარ დაიმშვიდა.
დედის თვალი გზას გვიხსნიდა,
დედის ლეჩაქს ქარი შლიდა,

მოგვკიოდა, მოგვძახოდა,
ჩვენთან იყო, — არ იშლიდა,
ცეცხლში ნადნობ ფოლადივით
გამოვედით ქარიშხლიდან.

ახლაც აკვანს დაღუღუნებს,
ახლაც ღამენათევია, —
გულს ხაგულე მოუნახავს,
თვალში სხივი ანთებია,

გადაჰყურებს ვაზს და ვენახს,
გორებს მწვანე კალთებიანს;
ხედავს: მისი ქალ-ვაჟები,
მისკენ მოემართებიან.

ასულები ფრთასხმულები,
ვაჟკაცები დარჩეული —
მოდიან და წინ მოუძღვით
ყიჟინა და ხმა ჩვეული;

ზოგს ვარდი და ია მოაქვს,
ზოგს ძოწი და ფარჩეული:
მშობელ დედის დავიწყებას
არ არიან დაჩვეული.

მათი დღეა... იზეიმონ,
ილაღონ და გაიხარონ,
თვით სამშობლო დედას ლოცავს:
იდღეგრძელე, კარგი ხარო!

ქვეყანაზე რაც ზღვა არი,
ოქრო-ვერცხლად დაიღვაროს,
ქვეყანაზე რაც ვარდია,
მათ მუხლებზე დაიყაროს.

ქვეყანაზე რაც სხივია,
მათ თვალებში კრიალებდეს,
ქვეყანაზე რაც შუქია,
მათ გულებში ბრიალებდეს,

მუდამ ისეთ ვაჟკაცს ზრდიდნენ, —
ჯანს სიკეთეს მიაღევდეს;
მათი თავშალ-თავსაფრები
ალმებივით ფრიალებდნენ...

აკვნებთან რომ ღუღუნებენ,
თითქოს თეთრი მტრედებია,
დღედაღამ რომ ტრიალებენ,
გარჯაში რომ ბერდებიან,

სამშობლოს რომ გვაყვარებენ,
მინდვრებიანს, ქედებიანს;
ყველა — ჩვენი გამომზრდელი,
ნანასმთქმელი დედებია!

კომუნისტი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ

ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის ორმოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის მუშაკებმა გამოუშვეს კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს" სპეციალური ნომერი.

ჟურნალის პირველი კადრები გადაღებულია საჩუქრების მაღაზიაში, სადაც მხოლოდ მამაკაცები იჩენენ საჩუქრებს, რომ დღესასწაული მიულოცონ დედებს, დებს, მეუღლეებს, მეგობარ ქალებს.

ჟურნალ „საბჭოთა ქალის" რედაქციაში, თუმცა არცერთი მამაკაცი არ მუშაობს, სადღესასწაულო საჩუქარი აქაც მზადდება. ამაზე ზრუნავენ სარედაქციო კოლეგიის წევრები — ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალები. ისინი გულდასმით განიხილავენ ჟურნალის შინაარსს, რომელიც 8 მარტს ეძღვნება.

ვიდრე „საბჭოთა ქალის" მარტის ნომერი გამოვიდოდეს, — ამბობს დიქტორი, — გავეცნოთ ერთ-ერთი ნარკვევის გმირს. და ჩვენ ვხედავთ, როგორ ამაყად მიაპობს ცის ლაჟვარდს ირინე ოსაძე, რომელსაც სამი მილიონი კილომეტრი აქვს გავლილი თვითმფრინავით. ცის სივრციდან მიწის წიაღში ვეშვებით და ვეცნობით პირველ ინჟინერ ქალს ჭიათურაში ვენერა ერქომაიშვილს. მას მუშაობის ოცი წლის სტაჟი აქვს და შესანიშნავ სპეციალისტად ითვლება.

მაყურებლის წინაშეა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მოწინავე მუშა გოგონა გამეზარდაშვილი. ის სულ ახალგაზრდა მივიდა ფაბრიკაში, მაგრამ პატიოსანი, თავდადებული შრომით მალე დაიმსახურა ყურადღება და პატივისცემა.

შემდეგ კადრებში მაყურებლის თვალწინ გაილევს სასწრაფო დახმარების მანქანა. მძღოლის გვერდით ზის ექიმი ნორა ბერძენიშვილი, რომელიც პირველ დაძახილზევე მზად არის დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს.

როგორც ყოველთვის, ამ სადღესასწაულო სუფრასაც ტკბილეული უნდა ამშვენებდეს. ეს იციან თბილისის საკონდიტრო კომბინატში და თეთრხალათიანი ქალები ლამაზად გაფორმებულ მუყაოს ყუთებში აწყობენ მალალხარისხოვან ტკბილეულს, რომ 8 მარტის სუფრას მეტი შნო და ლაზათი ჰქონდეს.

კინოჟურნალის ავტორებს უყურადღებოდ არც ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გოგოლა კაიკაციშვილი დარჩენიათ. დილიდანვე ჩაის პლანტაციებსა და მესაქონლეობის ფერმაშია გოგოლა. ამიტომაც არის ეს კოლმეურნეობა მოწინავე რაიონში. შინ კი იგი ასეთივე მზრუნველი დედაა. ყურადღებას არც თავის ხუთ შვილს აკლებს. დედა და მეცნიერი—ასეთად წარმოგვიდგება ჟურნალში ლილი ასათიანი, რომელიც ოჯახის საქმეს შესანიშნავად უთავსებს მეცნიერულ მოღვაწეობას.

როდესაც მნიშვნელოვან მოვლენას ვზეიმობთ, არ ვივიწყებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ღვაწლი მიუძღვით ბედნიერი ცხოვრების შექმნაში. ძველი რევოლუციონერი ქალი ნატალია ლომთათიძე უკვე სამოცდაორი წლისაა და მაინც დაუღალავად მუშაობს მართლმსაჯულების სადარაჯოზე.

გადამღები ჯგუფი ნინო რამიშვილს მორიგი მეცადინეობისას ეწვია. ამჯერად ნინო მხოლოდ ქალებს ამეცადინებდა. ფირზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. მაყურებელი ხედავს შესანიშნავ მოცეკვავესა და გულისხმიერ აღმზრდელს, რომელიც ახალგაზრდებს გადასცემს თავისებურ ნარნარ, დახვეწილ მოძრაობას. შემდეგ კადრები, რომელიც ლონდონშია გადაღებული, გვიჩვენებენ, რა აღტაცებით ხვდებოდნენ ინგლისელები ჩვენს მოცეკვავეებს.

მოცეკვავეთა ნატიფი მოძრაობა ტანწერწეტა ქალიშვილის ვარჯიშით იცვლება. ეს მზია ნინოშვილი ვარჯიშობს. მისი სახელი უკვე გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ლიანა გოგოლაძე კი, რომელიც შესანიშნავად ეშვება თოვლით დაფარულ ფერდობზე, ახლახან დაადგა სპორტული დიდების გზას. მერვეკლასელი გოგონა საქართველოს ჩემპიონია.

კინოჟურნალის ბოლო კადრებში ამაყად მიაბიჯებენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქალები — მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, სპორტსმენები. მოდის მომავალი თაობა — მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელმაც ჩვენი მომავალი ცხოვრება უნდა აშენოს.

სადღესასწაულო ჟურნალის რეჟისორია შ. ჩაგუნავა. საინტერესო კადრების ავტორები არიან ოპერატორები ა. აჯიბეგიშვილი, ლ. არზუმანოვი, ო. დეკანოსიძე, ვ. კურიანი, ზ. მაჩაიძე, ა. პოლოსოვი, შ. შიოშვილი. ტექსტი ეკუთვნის რ. თვარაძეს.

**ᲛᲖᲘᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ.**



სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეფრინველე ნანი ხოსიტაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐᲨᲘ



ჩვენს შესანიშნავ საბჭოთა სინამდვილეს, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ნათლად და მრავალფეროვნად ასახავენ საქართველოს მხატვარ ქალთა ნაწარმოებების გამოფენის ექსპონატები. ეს გამოფენა გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში ქალთა საერთაშორისო დღის 50 წლისთავის აღსანიშნავად. იგი შემოქმედებითი ანგარიშია ქართველი მხატვარი ქალებისა, რომელთაც მზრუნველმა სამშობლომ, სოციალისტურმა წყობილებამ შეუქმნეს თავიანთი ნიჭის გაფურჩქვნის ყველა პირობა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 400 ნამუშევარი — ფერწერისა და საქრეთლის თვალსაჩინო ოსტატებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების ნაწარმოებნი. შრომის თემას მიუძღვნა თავისი ნამუშევრები ბევრმა ახალგაზრდა მხატვარმა.

საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს ღრმად და მართებულად ასახავს გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები.

„შურს ვიძიებთ". — მოქანდაკე ᲗᲐᲛᲐᲠ ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐᲡ ნამუშევარი.




**ᲠᲝᲛᲘ**, 6 მარტი. (საქდესი). გუშინ აქ გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია ნაციზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოწვეულია წინააღმდეგობის მებრძოლთა მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით, რომში ჩამოვიდა ომის ვეტერანთა და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრთა მრავალი დელეგაცია ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

პირველ სიტყვას იღებს წინააღმდეგობის მებრძოლთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე სენატორი ეტორე ტიბალდი (იტალია). მან განაცხადა, რომ კონფერენციამ არა მარტო უნდა დაგმოს ფაშიზმის ახალი გამოვლინება, არამედ აგრეთვე გამოააშკარაოს იმის აღორძინების ღრმა მიზეზები, რაც ომის შემდეგ სამუდამოდ დამარცხებულად მიაჩნდათ.

## ᲜᲐᲪᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

კონფერენციის საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ვ. ი. კოზლოვი.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანები, რომლებმაც საკუთარ თავზე განიცადეს ჰიტლერული ნაციზმის აგრესია, — განაცხადა კოზლოვმა, — გადაჭრით გმობენ დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტების დანაშაულებრივ ხრიკებს. საბჭოთა ადამიანები აფრთხილებენ ევროპისა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომ დასავლეთ გერმანიის სამხედრო ხროვას, რომელიც აღჭურვილია უახლესი იარაღით და ცდილობს ახლა ბაზები შექმნას სხვის ტერიტორიებზე შეუძლია ევროპის ხალხები და მთელი მსოფლიო ჩააბას ახალ, უმაგალითო კატასტროფაში. ამას, განაცხადა ვ. ი. კოზლოვმა, წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ.

## ᲙᲐᲠᲑᲣᲥᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 4 მარტი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი შტატების უმეტეს ნაწილში ქარბუქი მძვინვარებს. ნამქერმა მოშალა ტრანსპორტის მუშაობა. დაიხურა სკოლები ნიუ-იორკში, პიტსბურგში, ბალტიმორში, ვაშინგტონში. ქარბუქმა თავზარი დასცა ვაშინგტონს. „თოვლს რომ ხედავს, ვაშინგტონი პანიკას ეძლევა, — წერს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, — ჩვენ მოუმზადებელნი აღმოვჩნდით. მოძრაობა № 1 ავტოსტრადაზე — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არტერიაზე — დღეს დილით სრულიად შეწყდა".

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, რომ ნიუ-იორკის რაიონში ავტოსტრადები გაჭედილია ათასობით ავტომანქანით. საჰაერო მიმოსვლა შეწყდა. ხუთმა თუ ექვსმა საავტობუსო კომპანიამ, რომლებიც მომსახურებას უწევენ ნიუ-ჯერსის შტატის სამხრეთ ნაწილს, ქ. ლიბერტის (ნიუ-იორკის შტატი) და უილკსბარეს (პენსილვანია), უარი თქვა იმის ცდაზე, რომ განეახლებინა მიმოსვლა და გააუქმა შემდგომი რეისები. ავტობუსების ერთ-ერთ ბოლო გაჩერებასთან 30 ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი.

## ᲒᲔᲛᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ

**ᲰᲐᲕᲐᲜᲐ**, 5 მარტი. (საქდესი). გუშინ დღისით ჰავანის ნავსადგურში აფეთქდა საფრანგეთის გემი „ლე კუვრი", რომელიც დატვირთული იყო სამხარი მასალით. უდიდესი ძალის აფეთქებამ დიდი ნგრევა გამოიწვია ნავსადგურის რაიონში. დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული. საღამოს რვა საათისათვის პოლიციისა და სანიტარიულ მანქანებს კვლავ გაჰყავდათ დაზარალებულები. ზოგიერთი შენობა კატასტროფის რაიონში ნანგრევებად იქცა.

აფეთქების რაიონში გაჩენილი ხანძრების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთა გადასარჩენად დაუყოვნებლივ გაგზავნა პოლიციის, რევოლუციური არმიის, სახანძრო და სამედიცინო სამსახურების დიდი ძალები. ქალაქში სანიმუშო წესრიგია.

აფეთქების მიზეზები გამოურკვეველია.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 5 მარტი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, აფეთქების მსხვერპლთა რიცხვი, წინასწარი გამოანგარიშებით, შეადგენს: მოკლულნი — 70-დან 100 კაცამდე, დაჭრილნი — დაახლოებით 200 კაცი.

## ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲐᲑᲐᲓᲨᲘ

აეროფლოტმა 1 მარტს გახსნა მოსკოვ-სტალინაბადის ჩქარი საჰაერო ხაზი. „ილ-18" ტურბორეაქტიანი ლაინერები ახლა მოსკოვიდან ტაჯიკეთის დედაქალაქში მგზავრებს 5 საათში ჩაიყვანენ.

დღემდე ამ ტრასას, რომლის სიგრძე თითქმის 3,5 ათასი კილომეტრია, ემსახურებოდა „ილ-14" დგუშიანი მანქანები. ისინი ექვს ადგილას ჯდებოდნენ, მთელი გზის გავლას 17 საათზე მეტი უნდებოდა.

1 მარტს დილით „ილ-18" თვითმფრინავით მოსკოვს პირველი რეისით ჩამოვიდა სტალინაბადელ მგზავრთა დიდი ჯგუფი.

ახლა ყველა საჰაერო ტრასაზე, რომლებიც მოსკოვს აკავშირებს საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკების დედაქალაქებთან, აგრეთვე ყაზახეთის დედაქალაქ ალმაატასთან, დადიან მრავალადგილიანი ჩქარი გაზტურბინიანი თვითმფრინავები — „ტუ-104" და „ილ-18". (საქდესი).

## ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲡᲣᲙᲐᲠᲜᲝᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

**ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ**, 6 მარტი. (საქდესი). როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, გუშინ ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც წინადადება მისცა ინდონეზიის პარლამენტის წევრებს გუშინდელი დღიდან შეწყვიტონ თავიანთი ფუნქციების შესრულება. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა გადაწყვიტა მოკლე ვადაში განაახლოს ინდონეზიის პარლამენტის შემადგენლობა 1945 წლის კონსტიტუციის საფუძველზე.

ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, მიღებული იყო, ყოველივე სხვა მიზეზის გარდა, იმ მოსაზრებით, რომ ინდონეზიის პარლამენტმა თავისი ამოცანების შესრულების დროს ვერ გაამართლა კაბინეტისა და პარლამენტის ურთიერთ თანამშრომლობის იმედი და არ იცავდა ინდონეზიის კონსტიტუციის სულისკვეთებას, დემოკრატიისა და 1959 წლის პოლიტიკური მანიფესტის პრინციპებს.

## ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲕᲔᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ

**ᲑᲝᲜᲘ**, 5 მარტი. (საქდესი). დასავლეთ გერმანიის პრესა იმოწმებს ინგლისის მთავრობის წრეებიდან მიღებულ ცნობებს და იუწყება, რომ ინგლისი მზად არის თავის ტერიტორიაზე შესაძლებლობა მისცეს ბუნდესვერის ჯარისკაცებს ისწავლონ თანამედროვე იარაღის ხმარება. როგორც გაზეთ „ნოიე რაინ-ცაიტუნგის" ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, „მოსამზადებელი მოლაპარაკების დროს ნატოში მყოფმა ინგლისის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მომზადებულია პირობები, რომ ბუნდესვერის მოსამსახურეებმა ინგლისში ისწავლონ ტაქტიკური ატომური იარაღის ხმარება". დპა-ს სააგენტოს ცნობით, ინგლისი მზად არის აგრეთვე დახმარება გაუწიოს ბუნდესვერს სამხედრო პილოტების მომზადებასა და „კორპორალის" ტიპის რაკეტების მოხმარებაში.

პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისში ბუნდესვერის სამხედრო მოსამსახურეთა გაწვრთნის საკითხს კონკრეტულად განიხილავენ თავდაცვის მინისტრები შტრაუსი და უოტკინსონი მარტის ბოლოს ნატოს პარიზის თათბირის დროს. „ლონდონისა და ბონის შეთანხმება, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნოიე რაინ-ცაიტუნგი", უნდა დაიდოს ნატოს ფარგლებში".

## «ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ» ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲑᲔᲓᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 6 მარტი. (საქდესი). ამერიკის დეპეშათა სააგენტოების ცნობებით, გუშინ ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე აფეთქდა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ატლასი". აფეთქება მოხდა გასაშვებ დანადგარზე, როცა რაკეტას საწვრთნელად ამარაგებდნენ საწვავით. პრესა აღნიშნავს, რომ რაკეტა „ატლასი" განკუთვნილია ატომგულის საბრძოლო ჭურვის წასაღებად.

დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან აგრეთვე, რომ კანავერალის კონცხის გამოსაცდელ პოლიგონზე გაშვების დროს აფეთქდა მართული თვითმფრინავი — ყუმბარა „ბომარკი".

## ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ

კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე იმყოფებიან ქართველი მწყემსები. ამ დღეებში იქიდან ამბავი მოვიდა, რომ ყაზბეგის რაიონის სოფელ კობის კოლმეურნეობის მწყემსებმა საზოგადოებრივი პირუტყვის გადასარჩენად გმირობა გამოიჩინეს.

ეს იყო 23 იანვარს. მართალია, ნოღაეთში დასავლეთის ცივი ქარი ქროდა, მაგრამ იგი არ იყო მაინცდამაინც ძლიერი, ამიტომ მწყემსებმა ცხვარი გარეკეს ბინების მახლობლად მდებარე საძოვრებზე.

შუადღე რომ მოახლოვდა, ქარმა იმძლავრა და ბოლოს ქარიშხლად იქცა. დიდ ხიფათში ჩავარდნენ სოფელ კობის კოლმეურნეობის მწყემსები ბორის კესაევი და პეტრე პლიევი, რომლებსაც ათასექვსასიანი ფარა ებარათ. ბუნებრივია, რომ ქარიშხალის დროს ასეთ უზარმაზარ ფარას ორი კაცი ვერ გაუძღვა.

ხუთი დღედაღამე გავიდა მწყემსებისა და ცხვრის დაკარგვის შემდეგ. მიუხედავად ბევრი ძებნისა, თვალუწვდენელ ტრამალებში კვალიც კი ვერ იპოვნეს. დადგა 28 იანვრის დილა. ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი გეოლოგიური პარტიის ავტომძღოლმა, რომელიც დაღისტნის ასსრ საძოვრების ტერიტორიაზე მგზავრობდა, ტრამალებში შეამჩნია ქართული ჯიშის ცხვრები. გაუკვირდა, საიდან უნდა მოსულიყო იქ ქართული ცხვარი? უკან დაბრუნდა თუ არა, ავტომძღოლმა ინახულა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსი (ჩრდილოეთ კავკასიაში) მ. გელაშვილი, რომელიც მაშინვე გაემგზავრა სპეციალისტებით უპატრონოდ მოხეტიალე ცხვრის მოსანახავად. მ. გელაშვილმა 32 სული ცხვარი მართლაც იპოვნა და შეუდგა ძებნას იქვე მდებარე ერთ-ერთ კოლმეურნეობაში, თუ საიდან გაჩნდა მათ ტერიტორიაზე ქართული ცხვარი. ასე კითხვა-კითხვით მან იპოვნა პეტრე პლიევი 662 სული ცხვრით.

იმავე დღეს მინდორში იპოვნეს უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი მწყემსი ბორის კესაევი, რომელიც ხუთ დღე-ღამეს იბრძოდა მშიერ-მწყურვალი ქარის წინააღმდეგ კოლმეურნეობის ცხვრის დასაცავად. ცოცხალმკვდარი ბ. კესაევი სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ხოლო ცხვრის ის ნაწილი 1.000 სულის რაოდენობით, რომელსაც მწყემსი ბ. კესაევი გაჰყვა, ექვსი დღის შემდეგ იპოვნეს უდანაკარგოდ დაღისტნის ასსრ ჩაროდინის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აღსანიშნავია, რომ დაღისტნელთა ცხვრის ორი ფარა იმ დღეებში ქარმა მიყარა სრულიად უპატრონოდ ყაზბეგის რაიონის სოფელ კობის კოლმეურნეობაში. კობელებმა ცხრა დღე შეინახეს ცხვარი და შემდეგ კი უდანაკარგოდ ჩააბარეს დაღისტნელ მეგობრებს.

**Ა. ᲬᲐᲛᲐᲚᲐᲘᲫᲔ,**
**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზამთრის საძოვრების (ჩრდილოეთ კავკასიაში) სამმართველოს ზოოტექნიკოსი.**

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲐ.

**რედაქტორი**
**Დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

### ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

#### ᲛᲐᲢᲩᲘ ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜᲨᲘ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის საკლუბო ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

6 მარტს სსრ კავშირის ფეხბურთელები თამაშობდნენ დრეზდენში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან, რის შემდეგ ბერლინში დაბრუნდნენ. ამავე დღეს გვიან საღამოს, რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს შ. იამანიძესა და მ. მესხს, რომლებიც ს. კოტრიკაძესთან და ზ. კალოევთან ერთად გამოდიან სსრ კავშირის საკლუბო ნაკრებში. აი რა გვიამბეს მათ:

აქ საბჭოთა ფეხბურთელებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ჩვენი ფეხბურთელების ვარჯიშს, რომელიც გამოცდილი მწვრთნელების მეთვალყურეობით მიმდინარეობს, ფეხბურთის მრავალი მოყვარული ესწრება. ხოლო საერთაშორისო შეხვედრების დროს სტადიონებზე ტევა არ არის.

საბჭოთა ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტებულია ორი კოლექტივი — პირველი და მეორე. მაგრამ იგი ნამდვილად როდია პირველი, ან მეორე. საბოლოოდ თუ ვინ შევა სსრ კავშირის საკლუბო ნაკრებში ეს ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის.

გასულ კვირადღეს ჩვენ დრეზდენში ჩავატარეთ მეორე საერთაშორისო შეხვედრა გერმანიის პირველ ნაკრებთან. შემადგენლობა ასეთი იყო: მასლაჩენკო, სოლდატოვი, შუსტიკოვი, ბაგრიჩი, იამანიძე, ნეტო, ურინი, ჩისლენკო, ოვივიანი, პონედელნიკი, მოსალიოვი (მეორე ტაიმში მესხი).

გერმანელმა ფეხბურთელებმა აჩვენეს კოლექტიური და ტემპიანი თამაში. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 0 : 0. მეორე ტაიმი აღინიშნა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით, მაგრამ ბევრი ხელსაყრელი მომენტი გამოუყენებელი აღმოჩნდა. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მასპინძლებმა გაიტანეს ბურთი და მოიგეს მატჩი ანგარიშით 1 : 0.

მორიგი შეხვედრები გვექნება 9 და 12 მარტს, მოსალოდნელია მესამეც 15 მარტისათვის. ამის შემდეგ შერჩეული იქნება 16 მოთამაშე, რომლებიც გაემგზავრებიან ჰოლანდიაში ადგილობრივ გუნდებთან 2 საერთაშორისო მატჩის გასამართავად.

#### ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

რამდენიმე დღეა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც წვრთნასთან ერთად ჩინელ მეგობრებთან გამართავს 10 საერთაშორისო შეხვედრას.

პირველი მატჩი სპარტაკელებმა მოაწყეს 6 მარტს შანხაიში ამავე ქალაქის ნაკრებთან. შეჯიბრება ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით — 3 : 1.

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ეს მატჩი უთუოდ ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა იყო. თბილისის დინამოელები 6 მარტს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალში შეხვდნენ ბულგარეთის არაერთგზის ჩემპიონსა და ევროპის თასის ორგზის ფინალისტს სოფიის „აკადემიკის" კალათბურთელებს.

გუნდების საბრძოლო შემადგენლობა ასეთი იყო: „აკადემიკი" (სოფია) — ვ. რადევი, ნ. ილოვი, ლ. პანოვი, პ. ლაზაროვი, დ. ატანასოვი; თბილისის „დინამო" — ა. კილაძე, გ. მინაშვილი, ა. ლეჟავა, გ. აბაშიძე, ლ. მოსეშვილი.

თამაში ბულგარელთა უპირატესობით წარიმართა, მე-8 წუთზე ანგარიში იყო 18:11. თბილისელები მოწინააღმდეგეს უთმობდნენ ტემპში, ისინი ბულგარელებზე უფრო „მძიმე" აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს მწვრთნელებს განზრახული ჰქონდათ მეტოქე „დაეჩაგრათ" სიმაღლით.

ეს გადაწყვეტილება ძირითადად სწორი იყო, მაგრამ პირველი შეტევა არ უნდა გამოეთიშათ. იგი უნდა მიენდოთ ისეთი მოთამაშეებისათვის, როგორიც არიან გ. მინაშვილი, ა. კილაძე და გ. აბაშიძე. შეიძლება მწვრთნელებს ეს დავალება კალათბურთელებისათვის უკვე მიცემული ჰქონდათ, მაგრამ იგი მოედანზე არ ხორციელდებოდა. გ. მინაშვილი ფარიდან მოხსნილ ბურთს თავის მოედანზე ელოდა, მიღების შემდეგ კი დოობლინგით მიიწევდა წინ, რაც საშუალებას აძლევდა სტუმრებს სწრაფად დაეხიათ უკან და უზრუნველეყოთ დაცვის ორგანიზაცია.

მიუხედავად ამისა, მე-10 და მე-11 წუთებზე ლ. მოსეშვილის რამდენიმე კარგმა ტყორცნამ ქულათა განსხვავება შეამცირა, შემდეგ კი ა. კილაძემ და ლეჟავამ თავიანთი გუნდი წინ გაიყვანეს. ბოლო წუთებში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 34:34.

შეჯიბრების მეორე ნახევარიც მძაფრად წარიმართა, განსხვავება ქულებში ორ ან სამს არ აღემატებოდა. დინამოელებმა მხოლოდ 39-ე წუთზე შეძლეს დაწინაურება, გაიმარჯვეს ანგარიშით 72:69 და თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ.

სოფიის „აკადემიკი" დიდი მონდომებით და მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ მატჩს. როგორც ჩანს გუნდმა საკუთარ მოედანზე დამარცხების შემდეგ საჭირო დასკვნები გააკეთა და თბილისელ მაყურებელთა წინაშე გაამართლა ის სახელი, რომელიც მას მოპოვებული აქვს მრავალ საერთაშორისო შეხვედრებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნ. ილოვი.

ყურადღებას იპყრობდა ბულგარელთა დაცვის ორგანიზაცია, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ საჯარიმო მოედანზე მოთამაშეები აყვანილი ჰყავდათ პერსონალურად, ამასთანავე თითოეული მათგანი ხელს უწყობდა ვ. რადევს ა. ლეჟავასთან ორთაბრძოლაში.

ჩვენი გუნდის ყურადღება გამახვილებული უნდა ყოფილიყო „აკადემიკის" თავდასხმის ლიდერის ნ. ილოვის წინააღმდეგ, მაგრამ ეს რატომღაც არ ჩანდა. დინამოელებს, რომლებსაც ჰყავთ ისეთი უძლიერესი მცველი, როგორიც არის გ. მინაშვილი, მასზე უნდა გაეპიროვნებინათ ნ. ილოვი ისე, რომ ამით ზონური დაცვა არ დარღვეულიყო.

მიუხედავად გამარჯვებისა, თბილისელმა გულშემატკივრებმა ოდნავი უკმაყოფილების გრძნობით დატოვეს დარბაზი, რადგან ისინი ჩვეული არიან დინამოელთა თავბრუდამხვევ შეტევებს, მძაფრ ბრძოლას, რომელიც ამ მატჩში ნაკლებად ჩანდა.

წინ არის გადამწყვეტი მატჩები. ჩვენი სურვილია „დინამოს" გუნდმა არ დაკარგოს კარგი ტრადიცია — ცეცხლოვანი თამაში.

**Ნ. ᲯᲝᲠᲯᲘᲙᲘᲐ,**
**სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.**




394. სულხანიშვილი ნორა ნიკოლოზის ასული — გარდაბნის სატყეო მეურნეობის მეტყევე
395. სურგულაძე მარგალიტა გალაქტიონის ასული — ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი
396. სურმავა მიმი კლიმენტის ასული — ქ. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მწნეხავი
397. სუპატაშვილი ვალენტინა მიხეილის ასული — საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი
398. სუხიშვილი აგრაფინა ალექსანდრეს ასული — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორი-ექსკურსიამძღოლი
399. სუხიშვილი ანეტა ლევანის ასული — ქ თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის ჩაის შემფუთავი მანქანების მემანქანე
400. სხირტლაძე თამარ ერმოლოზის ასული — ქ. თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
401. ტაბატაძე ზოია გიორგის ასული — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშა
402. ტალახაძე ეთერ ნესტორის ასული — საზოგადოება წითელი ჯვრის სამტრედიის რაიკომის თავმჯდომარე
403. ტერლეცკაია მარიამ ნიკოლოზის ასული — მელიორაციისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მელიორაციის განყოფილების გამგე
404. ტერ-მინასოვა ელენე სერგის ასული — ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის აღმსრულებელი
405. ტერ-სარქისოვა ბარბარე ალექსანდრეს ასული — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა
406. ტვილდიანი ბაბუცა ლავრენტის ასული — ლენტეხის რაიონის სოფელ ცხმელურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეხბორე
407. ტოპეშაშვილი ანა ვასილის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი ინსპექტორი
408. ტორონჯაძე ევგენია ანდრიას ასული — საქენერგოს სამტრედიის ელექტროქსელის დირექტორი
409. ტუდუში ლამარა იოსების ასული — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი
410. ტყეშელაშვილი ლილი ემელიანეს ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილების ჯგუფის ინსტრუქტორი
411. უგულავა ეთერ ალექსანდრეს ასული — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საქვაბე საამქროს უფროსი მემანქანე
412. ფავლენიშვილი ელენე გიორგის ასული — წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
413. ფალიაშვილი ნათელა ლევანის ასული — ქ. თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
414. ფანცხავა ვასილიდა დიომიდეს ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო სამსახურის უფროსი
415. ფაღავა დესპინე პლატონის ასული — ქ. თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის მკერავი
416. ფეოდოროვა მარიამ თეოფილეს ასული — ქ. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე
417. ფირაძე ქეთევან ლავრენტის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის თავმჯდომარე
418. ფირანაშვილი სოფიო გიორგის ასული — ქ. მცხეთის ასანთის ფაბრიკის მუშა
419. ფიჩხაია თამარ ფარნაოზის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მთავარი სპეციალისტი
420. ფოფხაძე თამარ სპირიდონის ასული — „გელათშახტმშენის" სამშენებლო სამმართველოს ნორმაღარი
421. ფოფხაძე მარიამ ვლადიმერის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი
422. ფურცელაძე მართა დავითის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტი
423. ქაბულოვა ბარბარე დავითის ასული — გაზეთ „სოვეტონ იოისტონის" რედაქციის კორექტორი
424. ქადიძე ელმაზ ხუსეინის ასული— ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი
425. ქანდარია მარიამ სიმონის ასული — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი
426. ქარელი დარეჯან გიორგის ასული — გორის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის" რედაქტორი
427. ქარსლიევა ელენე ივანეს ასული — წალკის საშუალო სკოლის მასწავლებელი
428. ქარცივაძე ზეიმა ისაკის ასული — საქართველოს ალკკ შუახევის რაიკომის პირველი მდივანი
429. ქემულარია-ნათაძე ლუბა მანუჩარის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი
430. ქვლივიძე თამარ ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი
431. ქიქოძე ოლღა იურის ასული — ტრესტ „საქნავთის" გეოლოგიურ-საძიებელი კანტორის გეოლოგიურ გადაღებათა ჯგუფის უფროსი კოლექტორი
432. ქლიბაძე ნელი მელიტონის ასული — ქუთაისის მაუდის ქარხნის ცვლის უფროსი
433. ქოიავა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული — ქ. ფოთის სანეპიდსადგურის ექიმი
434. ქოქრაშვილი მაყვალა იოსების ასული — გორის ბამბეულის კომბინატის ინჟინერი
435. ქუთათელაძე თინა კონსტანტინეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
436. ქურიძე ალექსანდრა თევდორეს ასული — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი
437. ღამბაშიძე ლეილა ბიძინას ასული — ქ. თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
438. ღვინიაშვილი ანა სპირიდონის ასული — გამომცემლობა „ნაკადულის" რედაქტორი
439. ღლონტი ეთერ ვალერიანის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე
440. ყაზახაშვილი თამარ გრიგოლის ასული — საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი
441. ყალიჩავა ქსენია ანდრიას ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
442. ყაუხჩიშვილი თინათინ სიმონის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
443. შავგულიძე ნინო ვარლამის ასული — თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი
444. შავიძე ქსენია ვასილის ასული— მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის ღვინის ქარხნის უფროსი მუშა.
445. შალუტაშვილი ნადეჟდა ნიკოლოზის ასული — ქ. თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი
446. შამუგია თამარ სანდროს ასული— ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კულტურის სახლის დირექტორი
447. შარაშენიძე ნინო შალვას ასული— „რუსთავვაჭრობის" № 52 მაღაზიის გამგე
448. შარაშენიძე თინა კონსტანტინეს ასული — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო - საკოლმეურნეო სამმართველოს ზოოტექნიკოსი
449. შარაძენიძე თინათინ სიმონის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე
450. შარია თამარ ეგნატეს ასული — აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე
451. შაქარაშვილი ელენე ტერენტის ასული — ქ. ბათუმის თევზის ქარხნის მუშა
452. შელია ბაბულია აკაკის ასული— გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე
453. შელია ნადეჟდა ელიზბარის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი
454. შენგელია გუგუ ალექსის ასული— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი
455. შენგელია ნინო სამსონის ასული — ქ. თბილისის № 6 სახელოსნო სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ინჟინერი
456. შენგელია ქეთევან დავითის ასული — ქ. თბილისის რკინიგზის მე-3 სკოლის მასწავლებელი
457. შერგილაშვილი ვენერა იოსების ასული — საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი
458. შეროზია ვალენტინა ვლადიმერის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
459. შეშინა ანტონინა ალექსის ასული — საქართველოს პროფსაბჭოს კულტმასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი
460. შიომღვდლიშვილი ნორა იოსების ასული — ქ. გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშა
461. შირიაევა ვალენტინა ნიკოლოზის ასული — საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი
462. შიშკინა ლიდა არტემის ასული — ტრესტ „ჭიათურბინმშენის" სამშენებლო სამმართველოს მებათქაშე
463. ჩახნაშვილი ნადეჟდა დავითის ასული — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი
464. ჩერკასოვა გალინა ალექსანდრეს ასული — თბილისის 52-ე საშუალო სკოლის დირექტორი
465. ჩერქეზია ეთერ დავითის ასული— წულუკიძის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი.
466. ჩეხოევა ფედოსია სტეფანეს ასული — სტალინირის № 1 აგურის ქარხნის მუშა
467. ჩითავა ოლღა რაჟდენის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.
468. ჩიკოვა ალექსანდრა მიხეილის ასული — გაგრის ხორცკომბინატის მუშა
469. ჩიქვილაძე ზინაიდა პავლეს ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ტელეფონისტი.
470. ჩიქოვანი მართა იასონის ასული— გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგე
471. ჩიქოვანი ნელი თეოფანეს ასული — ქ. თბილისის ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის პედაგოგი
472. ჩიხლაძე ევგენია ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელფასისა და შრომის განყოფილების უფროსის მოადგილე
473. ჩუბინიძე თამარ გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ წიგნის პალატის უფროსი ბიბლიოგრაფი
474. ჩუმაჩენკო მარიამ გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეანო-გინეკოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სანიტარი.
475. ჩხეიძე ნატალია ნიკოლოზის ასული — მწერალი
476. ცანავა მერი ონისიმეს ასული— გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" რედაქციის კომკავშირული ცხოვრების განყოფილების გამგე
477. ცერცვაძე ნათელა ამბერკის ასული — გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლის მასწავლებელი
478. ცერცვაძე რიმა სევასტის ასული — ტრესტ „საქენერგოს" ზესტაფონის ელექტრო ქვესადგურის მორიგე ტექნიკოსი
479. ცივაძე გული ხასანის ასული — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი
480. ცივაძე ეთერ თევდორეს ასული— აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე
481. ციციშვილი ნინო სოლომონის ასული — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის პროფესორი
482. ცქიტიშვილი მარიამ ილიას ასული — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკი
483. ცხადაძე ანა ონისიმეს ასული — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ქვის სამტვრევი მანქანის მემანქანე
484. ცხაკაია ქსენია ეფრემის ასული— თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
485. ცხვედაძე კაროლინა ნიკოლოზის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი
486. ცხოვრებოვა სოფიო ბატრაკის ასული — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე
487. ძაგნიძე ალინა ანტონის ასული — თბილისის მაუდის კომბინატთან არსებული № 86 სასადილოს გამგე
488. ძიგოევა ვენერა ნიკოლოზის ასული — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატსამმართველოს ეკონომისტი
489. ძიგრაშვილი ლეილა ამბერკის ასული — ქ. თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობი
490. ძიგუა ოლღა დავითის ასული— სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ფეხსაცმლის მკერავი
491. ძიძაძე ელენე სტეფანეს ასული— ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრის დოცენტი
492. ძიძიგური ნადეჟდა სილოვანის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ მახინჯაურის უფროსი
493. ძიძიგური ნინო ნიკოლოზის ასული— ქ. თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი
494. წერეთელი მარიამ პეტრეს ასული — მხატვარი
495. წიგნაძე ვერა ვარლამის ასული — ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტი
496. ჭავჭავაძე თამარ ირაკლის ასული — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი
497. ჭამელაშვილი მარიამ მიხეილის ასული — თბილისის № 4 სტამბის ლინოტიპისტი
498. ჭანჭალეიშვილი ნინო ანტონის ასული — ტრესტ „საქნავთის" მირზაანის სარეწაოს ოპერატორი
499. ჭეიშვილი ელენე არსენის ასული — ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი
500. ჭილაძე თინა ლევანის ასული— სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის მუზეუმის დირექტორი
501. ხალვაში მედეა ზექერიეს ასული— ქობულეთის რაიონის სოფელ სახალვაშოს შვიდწლიანი სკოლის დირექტორი
502. ხაჩაძიანი ნორა ალექსანდრეს ასული — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივნის თანაშემწე
503. ხარაბაძე ქეტო ვარლამის ასული— მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური
504. ხარაძე ანა ლუკიანეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი
505. ხატიაშვილი ნინო ნიკოლოზის ასული — სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი
506. ხაჩიძე ქეთევან ვასილის ასული— ქ. თბილისის კრუპსკაიას სახელობის მასობრივი ბიბლიოთეკის გამგე
507. ხაცევიჩი გოჰარიკ ტრდატის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მემანქანე
508. ხახუტაშვილი ანა ანტონის ასული — მწერალი
509. ხეჩუაშვილი თინა წყალობას ასული — „ახალციხშახტმშენის" სამშენებლო სამმართველოს №4/5 შახტის მარკშეიდერი
510. ხეხელაშვილი მერი გაბრიელის ასული — გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მემანქანე
511. ხიზანიშვილი ასმათ გიორგის ასული — ტრესტ „საქენერგომშენის" საპროექტო კანტორის პროექტის მთავარი ინჟინერი
512. ხმალაძე რანუშ მარტიროსის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი
513. ხომერიკი ნუნუ გერმანეს ასული — გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის" უფროსი რედაქტორი
514. ხორბალაძე ანა მიხეილის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის დამლაგებელი
515. ხოჟოლავა ნათელა კაპიტონის ასული — ფოთის ელექტრომანქანების ქარხნის გადამხვევი
516. ხოჯამიროვა მადლენა გერასიმეს ასული — ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებელი
517. ხურციძე დაგმარა პავლეს ასული — გაზეთ „კუტაისსკაია პრავდის" რედაქციის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე
518. ხუციევა ირინე ლევის ასული— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის უფროსი
519. ხუციშვილი თამარ გიორგის ასული — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე
520. ჯავაშვილი ევგენია ალექსანდრეს ასული — საქართველოს სამოდელო სახლის უფროსი მხატვარი-მემოდელე
521. ჯავრიშვილი რუსუდან დიმიტრის ასული — მხატვარი
522. ჯანაშია თამარ გიორგის ასული— ქ. სოხუმის საკონსერვო ქარხნის მგრაგნელი
523. ჯანბა სარია კამუგოვას ასული— გუდაუთის რაიონის ლიხნის საშუალო სკოლის მასწავლებელი
524. ჯანელიძე ზინა იასონის ასული— ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა
525. ჯანიაშვილი ქენია ალექსანდრეს ასული — ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მუშა
526. ჯაფარიძე ქეთევან ევგენის ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი
527. ჯაფარიძე ნინო კონსტანტინეს ასული — ონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების გამგე
528. ჯაფარიძე ეთერ ივანეს ასული — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" ხრამის საექსკავატორო კოლონის უფროსი ოსტატი
529. ჯაყელი ელენე ამბაკოს ასული — აჭარის ასსრ პროფსაბჭოს მდივანი
530. ჯეირანაშვილი თამარ სერაფიმეს ასული — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სტალინის რაიკომის მდივანი
531. ჯუღელი მედეა ნიკოლოზის ასული — სპორტსმენი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი.
1960 წლის 7 მარტი.

# ქალი — დიდი ძალა

ფ. დუმბაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



**ნახევარი** საუკუნის წინათ კოპენჰაგენში სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე კლარა ცეტკინის წინადადებით დადგენილ იქნა ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 8 მარტი.

მას შემდეგ 50-ჯერ აღინიშნა ეს სახელოვანი დღესასწაული. ამ წლების მანძილზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, რომელიც 80-ზე მეტი ქვეყნის 200 მილიონზე მეტ ქალს აერთიანებს, თავისი არსებობის მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანა ქალთა თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

ადამიანთა მრავალი თაობა ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნებოდა მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა, არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა, სადაც ქალები არა სიტყვით, არამედ საქმით მიიღებდნენ მამაკაცის თანაბარ უფლებებს. ამაზე ახლაც ოცნებობენ კაპიტალის ქვეყნების მშრომელნი.

საბჭოთა, ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო კაპიტალის უღელს, იხსნა ქალები იმ სამარცხვინო, ნახევრადმონური მდგომარეობისაგან, რომელშიც ისინი იყვნენ ცარიზმის დროს. საბჭოთა კავშირში ქალები აქტიურ ძალას წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე განუყრელად დაკავშირებულ ი ა ქალების აქტიურ და თავდადებულ მუშაობასთან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე.

ჩვენი ხალხი წმიდად ინახავს იმ მამაცობისა და სიმტკიცის ხსოვნას, რომელსაც მშრომელი ქალები რევოლუციის წლებში და სამოქალაქო ომის მრისხანე პერიოდში იჩენდნენ. უდიდესი შრომა მოახმარეს საბჭოთა ქალებმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, კოლმეურნეობების შექმნასა და განმტკიცებას. მამაკაცებთან ერთად ისინი ზურგში შრომითა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ბრძოლით ჭედდნენ მტერზე გამარჯვებას.

საბჭოთა ქალებმა ხალხის დამსახურებული პატივისცემა და დიდება დაიმსახურეს. ერთ მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 2.605 ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 30-ზე მეტი დაჯილდოებულია „ნამგალისა და უროს“ მეორე ოქროს მედლით, 75 ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საბჭოთა სახელმწიფო პატივისცემითა და უდიდესი მზრუნველობით მოსავს ქალს — დედას. 59 ათასზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება, 6 მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მარტო 1959 წელს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დაახლოებით 10 მილიარდი მანეთი დახმარება მიეცა.

საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობენ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ყველგან შენდებოდეს ახალი საბავშვო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, შემდგომ ვითარდებოდეს და უმჯობესდებოდეს საზოგადოებრივი კვება. საზოგადოებრივ სასადილოებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეიქმნა, ვ. ი. ლენინი „კომუნიზმის ყლორტების ნიმუშებს“ უწოდებდა. ახლა ჩვენს ქვეყანას აქვს მთელი სისტემა კომუნისტური ტიპის სხვადასხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც მოწოდებული არიან დაეხმარონ საბჭოთა ქალებს, დედებსა და დიასახლისებს, გამოიყენონ თავიანთი დრო ნაყოფიერი შრომისათვის, სწავლისა და კულტურული დასვენებისათვის.

საბჭოთა ქალები ამაყობენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის მიღწეული წარმატებებით. თავიანთი უფლებების, თავიანთი ღირსების შეგნება, სამშობლოს წინაშე გადაშლილი დიდებული პერსპექტივები სიხარულის, კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობას აღუძრავს მათ. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით აღფრთოვანებული საბჭოთა ქალები ძალების დაუზოგავად შრომობენ ხალხის საკეთილდღეოდ, საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 8 მარტის 50 წლისთავი, როგორც დიდი საერთაშორისო მოვლენა, განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნება წელს მთელ მსოფლიოში. დიდი აღმავლობით ხდება ქალთა საერთაშორისო მოძრაობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა შეჯამება, ხორციელდება ღონისძიებანი ქალთა დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი გაძლიერება-გაფართოებისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ქალთა გაერთიანებისა და მათ შორის ურთიერთკავშირის დამყარებისათვის.

ყველა ქვეყნის ქალებისათვის ყველაზე მაღალი და კეთილშობილური მიზანია ბრძოლა ომის წინააღმდეგ, თავიანთი შვილების ნათელი მომავლისა და ბედნიერებისათვის. მილიონობით მშრომელი ქალი, რომლებსაც აერთიანებს ხალხთა დემოკრატიული ფედერაცია, იმაღლებს ხმას მშვიდობის დასაცავად, მოითხოვს შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, მშვიდობიანად მოწესრიგდეს სადავო საკითხები, მოითხოვს სრულ განიარაღებას და ატომური, წყალბადისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას.

ღირსშესანიშნავ ვითარებაში აღნიშნავენ 8 მარტის 50 წლისთავს ჩვენი ქვეყნის ქალები, აღფრთოვანებულნი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შვიდწლიანი გეგმის ბრწყინვალე მიღწევებით, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჯერ არნახული წარმატებებით. საბჭოთა კავშირის, დიდი ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ქალები ამ დღეებში შეაჯამებენ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურის ფრონტზე მათი თავდადებული შრომითა და ბრძოლით მოპოვებულ გამარჯვებებს.

არ არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის არცერთი დარგი, სადაც მამაკაცის თანაბრად არ შრომობდეს და მოღვაწეობდეს ქალი, ხოლო ცალკეულ დარგებში კიდევაც სჭარბობს მათი როლი.

სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავეთა 75 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ. მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 569 მეცნიერი მუშაკი ქალია, მათ შორის 209 მეცნიერებათა კანდიდატი, 14 დოქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია 106 ქალი, ხოლო 17.791 ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია, 4.173 ქალი სახალხო მსაჯულია, 23 ქალი — სახალხო მოსამართლე, 20 — პროკურორი, ხოლო 9 ქალი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ჩვენს რესპუბლიკაში 4.442 ქალია დაჯილდოებული, „გმირი დედის“ საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 1.291 ქალს.

ეჭვი არ არის, საქართველოს ქალები მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად, მშობლიური პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და ზრუნვით გარემოსილნი, კვლავაც შეუნელებელი ენერგიით იშრომებენ რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების, სახალხო განათლებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობისათვის, დაეხმარებიან პარტიას, მთავრობას შრომისმოყვარე, ძლიერი, გაბედული, სამშობლოსა და კომუნიზმისათვის ერთგული მოზარდი თაობის აღზრდისათვის, შვიდწლედის დიად განზრახულობათა წარმატებით შესრულებისათვის.

■ ■ ■

**სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): ქალთა ჯგუფი — სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნინა ვასილის ასული პოპოვა (კალინინის ოლქი), იადგარ ნასრიდინოვა (უზბეკეთის სსრ), ეკატერინე ალექსის ასული ფურცევა (მოსკოვი), ფატუმა დუმბაძე (საქართველოს სსრ), ზახრა რახიმბაბაევა (უზბეკეთის სსრ) და ოლღა ივანეს ასული ივაშჩენკო (უკრაინის სსრ).

ფოტო დ. ჩერნოვისა.

# ფერმის ქალიშვილები

**ერთი** წელია, რაც იზოლდა დურსაღოვი მცხეთის რაიონის სოფელ გალვანის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში მუშაობს. შრომისმოყვარე ქალიშვილმა მალე მოიხვეჭა მოწინავე მეფრინველის სახელი. იგი მედეა ედიშერაშვილთან ერთად 800 ქათამს უვლის, აქედან 800 კვერცხმდებელია.

მზრუნველობას არ აკლებენ ქათმებს კომკავშირელი გოგონები. წელს კოლმეურნეობაში ერთ კვერცხმდებელ ქათამზე გეგმით 75 კვერცხი უნდა მიიღონ, გოგონებმა კი 85 კვერცხის ჩაბარება იკისრეს, ენერგიულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას გალვანელი ქალიშვილები.

გ. რაზმაძე.

# ორმოცდაათი წელი

მარიკა ბარათაშვილი

**50 წელი** გავიდა იმ დღიდან, რაც სოციალისტ ქალთა II კონფერენციაზე ქ. კოპენჰაგენში ქალთა საერთაშორისო დღედ დაწესდა 8 მარტი.

50 წელი — დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთია მარადისობასთან შეფარდებით, მაგრამ რამდენი ცვლილება მოხდა ამ 5 ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში! კონტინენტის უდიდეს ნაწილზე შეიცვალა სახელმწიფოებრივი წყობილებანი, ადამიანთა ცხოვრების გარემო და ურთიერთდამოკიდებულება.

ცხოვრების ეს ძირეული ცვლილებები განსაკუთრებით ჩვენ, საბჭოთა ქალებმა, განვიცადეთ.

ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილი ტალღა ხმაურით შემოიჭრა ჩვენი დახავსებული ცხოვრების კარიბჭეში, დაამსხვრია და წალეკა ყოველგვარი მონობის ბორკილი, მოხსნა ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგიდან ბრძოლა ადამიანური უფლებებისათვის და ქალი ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო წარსულში აბუჩად აგდებული, ყოველგვარ უფლებას მოკლებული ქალის ზრდა და ამაღლება.

და საუკუნეების მანძილზე დაბეჩავებულმა ქალმა სულ 4 ათეული წლის მანძილზე შეძლო დაემტკიცებინა მთელი სამყაროსათვის ექსპლოატატორული კლასების ცრუ იდეოლოგიის უსაფუძვლობა და უსუსურობა.

სოციალისტურმა სინამდვილემ დაამსხვრია ბურჟუაზიულ ცრუმეცნიერთა „ფილოსოფია“ იმის შესახებ, რომ ქალი თავისი ბუნებით „დაბალი“, „არასრულფასოვანი“ არსებაა, რომ მას არ შესწევს უნარი მამაკაცის თანაბრად ინტელექტუალური ზრდისა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისა... განა ბედის დაცინვა არ არის, რომ თვით საქართველოშიც კი, სადაც ქალის უდიდესი როლი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ოდითგანვე, ისტორიულ მოვლენათა მსვლელობით იყო განპირობებული, იქ, სადაც დაუსრულებელ უამინდობის დღეებში, როდესაც მამაკაცს აპჯრის გასახდელად ვერ მოეცალა, ქალი სცვლიდა. მას შინ და გარეთ, ჰკვებავდა ჯარს, ამუშავებდა ველ-მინდვრებს, ინახავდა და ამრავლებდა მსოფლიოს კულტურის განძეულს, ზრდიდა შვილებს და არაიშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც ხმალსაც კი იღებდა ხელში; იმ ქვეყანაში, სადაც სახლის ჭერის სამაგრსაც კი „დედაბოძს“ უწოდებენ, — რაც სიმბოლურად განსაზღვრავს ქალის როლს ქვეყნისა და ოჯახის სიმტკიცის საქმეში; სადაც ქართველი ქალის დიდბუნებოვნებით აღტაცებულმა XII საუკუნის საქართველოს დიდმა პოეტმა და ჰუმანისტმა აღფრთოვანებით წარმოთქვა;

„ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, თუნდა ხვადია“,

ამ ქვეყნის ქალიც კი, სხვა ათასგვარ მჩაგვრელთა გარდა, ქმრის, ოჯახისა და დამამცირებელი ტრადიციების მონობაში იმყოფებოდა!

42 წელი ოქტომბრის რევოლუციიდან — ეს არის წლები შემბორკავი ტრადიციების მსხვრევისა, წლები უდიდესი ძვრების და გამარჯვებებისა. საბჭოთა ხელისუფლებამ შეუმსუბუქა ქალს დედობისა და ოჯახური საქმიანობის პირობებიც.

აღსრულდა ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ნაანდერძევი: საუკუნეობრივი მონობისაგან განთავისუფლებულ ქალებს მცირე წვლილი როდი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის კულტურული და სახალხო-სამეურნეო მშენებლობის საქმეში.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დამკვიდრდა შრომის სუფევა ჩვენს ქვეყანაში ისე რომ შეჰხაროდა დიდი ილია. ბორკილაყრილი, სახელისა და დიდების საქმედ ქცეული შრომა ყოველდღე გვასახელებს თავისი ახალი მიღწევებით და აღმოჩენებით და ამ სასწაულების შემოქმედი თავისუფალი ქალის მარჯვენაც არის.

ქართველი ქალის სილამაზეს არა ერთი მგოსანი [illegible], მაგრამ ჩვენ დღ[illegible] განსაკუთრებით ვამაყობთ იმ ქალ[illegible] [illegible] ოპერაციებს, მართავს [illegible], დაპყრობს კოსმოსს, შეისწავლის ვარსკ[illegible] ლავებს, ქმნის სიმფონიებს და უკვდ[illegible] ტილოებს, ამყარებს შრომითს რეკო[illegible] დებს მრეწველობისა და სოფლის მეურ[illegible] ნეობის დარგში, გამოდის გამარჯვებუ[illegible] გონებისა და ძალის შეჯიბრებაში, [illegible] აღმოჩენებს, შრომითს და შემოქმედ[illegible] ბითს მიღწევებს ტაშს უკრავს მსოფლი[illegible]

მრავალი მიღწევით აღფრთოვანებუ[illegible] და მადლობის გრძნობით სავსე საბჭო[illegible] ქალი, მადლობელი იმ ნდობისა და ზრუ[illegible] ნვისათვის, რასაც მის მიმართ იჩენ[illegible] საბჭოთა მთავრობა და კომუნისტუ[illegible] პარტია, ამაყად დგას დღეს ოქტომბრ[illegible] მონაპოვართა დასაცავად. ამ გრძნობ[illegible] შეება იგი ჰიტლერელ თავდამსხმელებ[illegible] საც და ისახელა კიდეც თავი.

ამ გრძნობით დგას იგი დღესაც თავის მამის, ძმის, ქმრისა და შვილის გვერდი[illegible] და იბრძვის ახალი მიღწევებისათვის, კო[illegible] მუნისტური მშენებლობის დიადი შვიდ[illegible] წლიანი გეგმის განსახორციელებლად.

მაგრამ წარსულში მრავალჭირგამო[illegible] ლილ საბჭოთა ქალს არ ავიწყდება, რო[illegible] ჯერ კიდევ მრავლად არიან მსოფლიოშ[illegible] მონა ქალები, რომლებიც უდიდესი გა[illegible] ჭირვებით მიათრევენ წყვდიადით მო[illegible] ცულ ცხოვრების გზაზე თავიანთ მძიმ[illegible] ხვედრს. არიან ადამიანებიც, რომლები[illegible] მსოფლიოს ახალი, გამანადგურებელ[illegible] ომებით ემუქრებიან...

და დღეის დღეს, მსოფლიოს ქალთ[illegible] საერთაშორისო დღესასწაულზე ჩვენ[illegible] მშვიდობისმოყვარე ქვეყნის თავისუფა[illegible] ლი ქალები მთების, ზღვებისა და ოკეა[illegible] ნეების მიღმა მეგობრულ ხელს უწვდი[illegible] თავიანთ დებს.

დაე იზარდოს და განმტკიცდეს ჩვენ[illegible] მეგობრობა!

ნათელ დღესასწაულად ბრწყინავდე[illegible] მსოფლიოს ყველა ქალისათვის დღევან[illegible] დელი დღე!

იხაროს მშვიდობამ!

იგაზაფხულოს გაზაფხულმა მთელ მსოფლიოში!

# თეთრხალათიანი

**სხვანაირი** იყო ის თეთრი ხალათითა და თეთრი ქუდით. კარგია, რომ ასეთიც ვნახე. ვფიქრობ — პირველად ასეთი უნდა მენახა, მერე ვწვეოდი შინ. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის. ოპერაცია თორმეტზეა დანიშნული.

ნინომ ონკანს გასაპონული ხელები შეუშვირა.

— შავი ძაღლი გაამზადე, სერგო! მორფიც გაუკეთე, — ეუბნება ლურჯხალათიან კაცს.

ვივარიუმიდან ძაღლის წკმუტუნი ისმის. მაგრამ ეს, ეტყობა, აქ ჩვეულებრივი ამბავია. ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

ცოტა ხნის შემდეგ ძაღლი საოპერაციო მაგიდაზე ქამრებით დააბეს, ზეწარი გადააფარეს.

მარცხნივ დგას პროფესორი ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი, მარჯვნივ — მისი მეუღლე, პროფესორი მამია ესედის-ძე კომახიძე.

...ისინი უკვე რამდენიმე წელია ერთად მუშაობენ სისხლ-ძარღვების მორფოლოგიის საკითხებზე. პრობლემა მეტად აქტუალურია — სისხლის ძარღვების დაავადება ადამიანთა პათოლოგიის დიდ პროცენტს შეადგენს. ნინომ და მამიამ შეისწავლეს სისხლის ძარღვები და მათი ექსპერიმენტული ცვლილებები. სისხლის ძარღვების დაავადებისას საშიშრო ხდება მათი გაკერვა ან გადაკვანძვა. ხშირად ეს არ იძლეოდა კარგ შედეგს. სხვადასხვა ექსპერიმენტის შედეგად მათ სცადეს სისხლის ძარღვის გადანერგვა. ძაღლის ვენა ჩანერგეს არტერიაში. ის არტერიაზე უფრო სუსტია. ფიქრობდნენ კიდეც, რომ ვენა ვერ გაუძლებდა არტერიულ წნევას. მაგრამ ძაღლზე ამ ოპერაციამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო — ვენა გარდაიქმნა, მისი კედელი გასქელდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც ამჟამად ნინო ჯავახიშვილია, მრავალი ცდა კეთდება ყოველდღიურად. ნინოს ხელმძღვანელობით მუშაობენ დღეს იქ აბაშიძე, მამფორია, ღიბრაძე და ბევრი სხვა — საშვილოსნოს, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, ღვიძლისა და სხვა ორგანოების სისხლის ძარღვებზე.

წელს, პირველ საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც სისხლძარღვა ნივთიერებების ექსპერიმენტული მორფოლოგიის საკითხებს მიეძღვნა, დიდხანს იმსჯელეს ნინოსა და მისი მეუღლის გამოცდილებაზე. მათმა შრომებმა ვენაარტერიის გადანერგვაზე დიდი შეფასება მიიღო. და არა მარტო ჩვენში — მთელ რიგ დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

1960 წლის აპრილში კი, ნიუ-იორკში ანატომთა საერთაშორისო კონგრესზე ნინოსა და მამიის გამოცდილებას მრავალი ქვეყნის მორფოლოგები გაეცნობიან.

...გუშინ უბრალოდ მიყვებოდა ყველაფერ ამას. მაგრამ ამ უბრალო მონაყოლში ყველაზე მეტად დაინახავდი უძილო ღამეებს, ექსპერიმენტებზე გატარებულ საათებს, დამარცხებებს თუ გამარჯვებით მოპოვებულ სიხარულს.

...ამბავი ამბავს მიჰყვებოდა. მოგონებას მოგონება ცვლიდა. და ფურცელს, რომელზეც წინასწარ მომზადებული კითხვები სწერია, მე შეუმჩნევლად ვმალავ. იმიტომ რომ გუშინ ჩემს წინ არ იჯდა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა ქალებისა და მშვიდობის დაცვის საქართველოს სსრ კომიტეტების წევრი, ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ რედკოლეგიის წევრი...

ჩემს წინ იყო ჩვეულებრივი ქალი. ის იჯდა თავის ოთახში, კედლებზე ეკიდა უამრავი სურათი — ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ხანკოვსკი, კუკრინიკსი... ჩემს წინ იყო ქალი, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა და ახლა თვალები უბრწყინავს. როცა ლაპარაკობს უჩვეულო სინაზით და კაეშნით მოსილ ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდაზე, ბერნინის ქანდაკებათა მშვენიერ ნამუშევზე რომში, ტიტანის ქერათმიან ვენერაზე — ფლორენციაში, მურილიოს მადონებზე, ბრონზინოს ელეონორაზე, მიქელ ანჯელოს, პერუჯინოს, კარავაჯოს, გვიდო რენის და სხვა მხატვართა შედევრებზე... როცა იგონებს ვენეციას, ზღაპრული იდუმალებით მოცულს... სასახლეს, სადაც ახლა კაზინოა და ყოველდღე მილიონები ტრიალებს და სადაც ვაგნერმა დალია სული...

ნეაპოლი... ხმელთაშუა ზღვის კლდოვანი ნაპირები და წყლის განუმეორებელი ფერები.

ამბავი ამბავს მიჰყვება... და მე მხოლოდ ვუსმენ.

ნიუ-იორკი... სხვანაირია ის თვითმფრინავიდან და ნაპირიდან. სხვაა იგი დღე და სულ სხვაა ღამე. შეერთებული შტატების ფინანსური ცენტრი — უოლსტრიტი გაზრჩობს თავისი ცათამბჯენებით და ქუჩის ვიწრო ნაპრალებით. ქვის, ლითონის და მინის ამ სამყაროში თავისებური ჰარმონიაა და მას მხოლოდ თანდათანობით აითვისებ, როცა საათობით უვლი მანჰეტენის გარშემო, როცა თვალი ეჩვევა უთვალავი დაკიდებული ხიდის ბადეს, ცათამბჯენების გროტესკულ პრიზმებს, ალაგ-ალაგ კლდოვან ნაპირებზე ლამაზად შეწითლებულ ფოთლებში ჩაფლული საცხოვრებელი სახლების სიმყუდროვეს, დაუნტაუნის — ღარიბთა და ლატაკთა შემზარავ შიშველ სისადავეს.

...საოცარი სანახავია ნიუ-იორკი ღამით. განსაკუთრებით მისი სავაჭრო ცენტრი ბროდვეი — უამრავი შუქრეკლამები ინთებიან, ქრებიან, ფერს იცვლიან, ტრიალებენ, თავბრუს გასხამენ და ბოლოს რეალობის შეგრძნებას გიკარგავენ. რასაკვირველია, როგორც ყველა ჩასულმა, ნინომაც ვერ აუარა გვერდი ემპაირის შეასსართულს და იქიდან გადმოხედა ღამის ნიუ-იორკს. და რასაც თვალი სწვდებოდა, ყველგან სხვადასხვა ფერის სინათლე ირეკლებოდა. გრძელი და სწორი ქუჩები ძვირფასი ქვების ბრწყინვალებით იქარგებოდა...

...ევკალიპტების ჩრდილში გაშლილია ადის-აბება. მეფე ნენელიკ მეორეს დაუარსებია იგი და აქვე გადმოუტანია თავისი ტახტი გონდარიდან. ახალგაზრდა ქალაქია ადის-აბება, მაგრამ გაოცებთ კონტრასტებით თანამედროვე დასავლური ყაიდის შენობები, გვერდით ეთიოპური ქოხები — ტუკულები... ქოხებს მხოლოდ შესასვლელი აქვს, ზოგს სარკმელიც, მაგრამ უკარო და უმინო. არც საკვამლე მილი ჩანს. როცა ცეცხლს ანთებენ, ბოლი პირდაპირ სახურავში ადის, ან შესასვლელიდან გამოდის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მიდამოს ხანძარი უკიდია...

დელეგაცია, რომელშიც ნინო შედიოდა, ეთიოპ ქალთა საქველმოქმედო ასოციაციას ეწვია...

...დაუსრულებლად შეიძლება უსმინო და არ დაიღლები, თვითონაც არ იღლება, არც სათქმელი შემოელევა.

ამბავს მიჰყვება ამბავი...

ჩვეულებრივად კი დაიწყო მისი ცხოვრება.

დაიბადა მოსკოვში 1914 წელს ცნობილი გეოგრაფის აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში. ქალიშვილებმა სხვა პროფესია აირჩიეს: ეთერი — გეოლოგია, ნინომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. შემდეგ ანატომიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. პარალელურად გრ. მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში დადითდა. აქ დაიწყო მეცნიერული კვლევა და საკანდიდატო დისერტაციაც იქ შეასრულა 1941 წელს. ომის მძიმე წლებში შეუძლებელი იყო სისხლის ძარღვებზე მუშაობა — არ იყო ცხოველების შენახვის არავითარი საშუალება... ამიტომ იწყებს მუშაობას ნერვებზე და 1948 წელს წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას.

დგება მშვიდობიანი დღეები, და ნინო უბრუნდება საყვარელ საქმეს — სისხლძარღვთა სისტემის ექსპერიმენტული მორფოლოგიის საკითხებს. იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ თეორიულ დარგს, მედიცინის საფუძვლის პრაქტიკასთან დაახლოებას და მუშაობდა, მუშაობდა მთელი მონდომებით და საქმისადმი უდიდესი სიყვარულით.

ამიტომ მიაღწია კიდეც წარმატებებს. ამიტომ იყო, — სადაც არ უნდა ყოფილიყო ნინო, — საფრანგეთში თუ იტალიაში, უნგრეთში, ალბანეთში, ინგლისში, შვეციაში, ავსტრიასა თუ დანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეთიოპიაში თუ ბულგარეთში, — ყველგან არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენდა თავისი დარგის ადამიანების მუშაობის გამოცდილებისადმი. ბევრს სწავლობდა მათგან და არასოდეს არ ქმნიდა საიდუმლოებად თავის გამოცდილებას. ყოველთვის იღებდა შენიშვნებს და ჩამოსვლისთანავე უფრო მონდომებით ჩაუჯდებოდა ხოლმე საქმეს.



ნინო ჯავახიშვილი.

■ ■ ■

შუადღეს გადაცილებულია. ნინოს ოთახში მაინც ანთია ნათურა და დაბრილია საწერ მაგიდაზე ორი ჯიუტი თავი — ნინოსი და მამიის.

...ისინი უკვე რამდენიმე წელია ერთად მუშაობენ და ახლა საოპერაციო მაგიდის ორივე მხარეს ერთად დგანან. დღეს ისინი პირველ ექსპერიმენტს ატარებენ ახალ საკითხზე. ოპერაციის მიზანია — ღვიძლის წილის ამოკვეთა.

— ამ ოპერაციის აზრი მთლიანად იოგების მუშაობაა... — მესმის მამიის დახშული ხმა.

— დაუკვირდი, შემდეგში უმჯობესი იქნებოდა ირიბი ჭრილი გაგვეკეთებინა, — ამბობს ნინო.

ზეწარი სისხლით ივლითება. სისხლიანი საფენები ძირს ცვივა. ძაღლი წკავის.

— ხელს გვიშლის... — ამბობს მამედი.

ნინო უსტვენს, და ცოტა ხნის შემდეგ ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოდგება ამ თეთრ ოთახში, ისმის მხოლოდ:

— პეანი!
— მზად არის... მაკრატელი!
— ასე!
— პინცეტი!
— ოდნავ გვერდით...
— ასე!
— ტამპონი!
— დეშამპი!

ოპერაციამ თითქმის ერთ საათს გასტანა. ღვიძლის წილი ამოკვეთილია, ძაღლი ცოცხალია.

მე უკვე ვიცი — ეს დასაწყისია, წინ კიდევ რთული სამუშაოა, კიდევ ბევრია მოსამზადებელი, სანამ ეს ოპერაცია ადამიანზე გაკეთდება.

ნინოს ხელები ახლა ისინი სისხლშია გასვრილი.

სხვანაირი იყო ეს ხელები გუშინ, როცა მათ პატარა ბროლის ლარნაკი ეჭირათ.

— ვერაფერს ამჩნევთ? — მკითხა ნინომ.

ვაკვირდები, სულ პაწაწკინტელა ხაზი, ბზარივით.

— რესტავრაციას ვაკეთებ, იცით, ეს ლეონარდოს რეცეპტია — ცინკის თეთრა...

მაშინაც დავაკვირდი მის ხელებს. სხვანაირი იყო ისინი გუშინ.

რამდენ ბევრის გაკეთება შეუძლიათ მათ.

ლია გოგიშვილი.

# რაც უნატრიათ!

**ცხრამეტი** წლისაა ნაზი კვანტრიშვილი. ზესტაფონის ახლოა მისი სამშობლო სოფელი ალავერდი.

— ნეტავი შენი ხნისა ვიყო! — ალერსიანად ეტყვის ბაბუა ვედია, სოციალისტური შრომის გმირი და პირველი მევენახე სოფელში. ბაბუამ იცის, რაა სიბერე, როცა მარჯვენა ისე არ ემორჩილება, როგორც მას უნდა. ნაზი კი სიცოცხლით სავსე გოგონაა. მან ჯერ კიდევ კარგად არ იცის, რა ძვირფასია ახალგაზრდული მგზნებარება.

ყველას გაუგია ალავერდში ამ შრომისმოყვარე ქალიშვილის ამბავი. ნაზიმ შარშან დაამთავრა სკოლა, დედას გაჰყვა კოლმეურნეობაში და მალე მოსავლელად ჩაიბარა ფერმის ძროხები.

დილით ადრე მიდიოდა ფერმაში, მზრუნველი თვალით მიხედავდა „ირმას“, „შავთვალას“, „წაბლიას“. ვინ იცის, რამდენ საალერსო სიტყვას დააყოლებდა, როცა დღე თავდებოდა და მათ დაბინავებულს ტოვებდა ფერმაში.

კარგ მუშაკად თვლიდნენ ნაზის. ახლაც ამბობენ, სოფელში მას ტოლი არ ჰყავდაო. ოჯახსაც მოვლა უნდოდა, და ნაზიმ თავის კბილა ახალგაზრდას ზაურ ჭუმბაძეს ჩააბარა ძროხები. ოჯახში იმჯერად არავინ იყო მისი შემცვლელი და დროებით წავიდა ფერმიდან.

ახლა მევენახეებს დაჰყვება ნაზი. ყველაზე მეტად ბაბუა ვედიასთან უყვარს ყოფნა. ჩაჯდება და უყურებს, როგორ სხლავენ ვაზს მოხუცის ნაჯაფარი ხელები.

მახსოვს, როგორ დატრიალებდა ვაზებს რთვლის დღეებში. ყურძნით სავსე კალათი მხარზე ედო, ასაწონად მიჰქონდა. შეხედეს და ერთმანეთს გასძახეს ქალებმა, დღეს ნაზიმ ყველაზე მეტი მოკრიფაო. მან თითქოს ვერ გაიგონა, ისე თქვა:

— აი, იქაც კვანტრიშვილები არიან — რუსიკო, ნელი. ნახეთ როგორ კრეფენ! მერე წვიმა მოვიდა. ისინი არსად არ წასულან. იმ ხანებში ხშირად წვიმდა ალავერდში და ყურძენი მაინც იკრიფებოდა. გზაზე ბიჭებმა ჩაიარეს და ნაზიმ თქვა:

— ესენი ქალაქში მიდიან, უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ.

ისინი ქალაქში სწავლობენ. ნაზი კი ალავერდში უვლის ვაზს. ნაზისთანა ბევრია სოფელში და ამიტომ მოსავალსაც უხვად იღებენ. და როცა სოფლის სადღეგრძელოს სვამენ, — ალავერდი შენთან ვართ, — ამბობენ და ნაზისთანა მშრომელს ლოცავენ:

აუხდეთ, რაც უნატრიათ!

ლია კაკაბაძე.



**სურათზე:** თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მხვეველები, ტყუპები (მარცხნიდან) მარიამ და მანია ცისკარიშვილები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.